აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№100 (24.980) ხუთშაბათი, 15 - 16 სექტემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 25 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ევროკავშირის ახლად დანიშნულ ელჩს შეხვდა. შალვა პაპუაშვილმა პაველ ჰერჩინსკის საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშვნა მიულოცა და საქმიანობაში წარმატება უსურვა. შალვა პაპუაშვილმა პარლამენტის მიერ ევროპული საბჭოს 12 რეკომენდაციის განხორციელების პროცესზე დეტალურად ისაუბრა. ევროკავშირის ელჩმა საქართველოს ევროინტეგრაციის, მათ შორის, მოსახლეობისთვის ხელშესახები შედეგების მომტანი პროექტების განხორციელების გზით აქტიური თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაადასტურა.

* * *

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება 2024 წლიდან ელექტრონული აპარატურის გამოყენებით ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და ხმის მიცემის წესის ფართოდ დანერგვის შესახებ, - ამის თაობაზე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისი თქმით, საარჩევნო უბნების უმრავლესობაში, მათ შორის ყველა ქალაქსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტში, რაც ამომრჩეველთა სულ მცირე 70 პროცენტს მოიცავს, ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ხმის მიცემა ელექტრონული აპარატურის გამოყენებით განხორციელდება.

* * *

„ქართულმა ოცნებამ“ კომიტეტების თავმჯდომარეების ვაკანტურ თანამდებობებზე კახა კახიშვილის, ირაკლი მეძმარიაშვილისა და ზაზა ლომინაძის კანდიდატურები დაასახელა. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა, მათი არჩევა მომდევნო კვირაში სესიაზე მოხდება. „დარწმუნებული ვარ, საქართველოს პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას მათი არჩევის შესახებ,“ - განაცხადა მდინარაძემ.

* * *

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე 2021 წლის სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობისა და სამომავლო გეგმების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის რუსლან აბაშიძის ინფორმაცია მოისმინეს. მისი განცხადებით, აფხაზეთის მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ და იქ ლეგიტიმურად მცხოვრებ მოსახლეობას შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაა.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმი პატარების დიდ ჭადრაკს მასპინძლობს

მანანა პიძიშვილი 598 24 94 97

15-დან 22 სექტემბრის ჩათვლით, ბათუმი მასპინძლობს კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატს 8, 10 და 12 წლის ასაკის მოჭადრაკეთა შორის. ტურნირში იასპარეზებს 70-მდე ქვეყნის 750-ზე მეტი მონაწილე

წარმოგიდგენთ ჩვენი რეგიონის მოჭადრაკეებს, რომლებმაც სხვადასხვა ნომინაციით მოიპოვეს ჩემპიონატის საგზური. ესენი არიან: კესარია მგელაძე, ანეტა ქედელიძე, მარიამ კალანდაძე, დემეტრე გოგიაშვილი (ყველა ბათუმიდან), ნინო ბოლქვაძე (ქედა), ნიკოლოზ სარჯველაძე (ქობულეთი), ანანო ხიმშიაშვილი (შუახევი), ალექსანდრე ვასაძე (ხელვაჩაური), ანასტასია მელაძე (ხულო).

პარტიები გაიმართება სასტუმროებში „ეიფორიასა“ და „ლეგენდაში“.

მოეწყობა ტურნირის დარბაზების ვიდეოტრანსლაცია, ასევე, 100 დაფა გადაიცემა ლაივში, ყოველდღიურად მოხდება პარტიების კომენტირება.

ყველა ტური დაიწყება 15 საათზე, ბოლო - მე-11 ტური კი 10 საათზე. იმავე დღეს, 19 საათზე, დაჯილდოვდებიან გამარჯვებულები და ჩემპიონატი დაიხურება.

22 სექტემბერს ამ დიდი ფორუმის მონაწილეები დაისვენებენ - გაიმართება სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონატი საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში, მეგობრული მატჩები, მოჭადრაკეები დაათვალიერებენ ჩვენი მხარის ღირსშესანიშნაობებს.

წარმატებას ვუსურვებთ თითოეულ მონაწილეს.

მთავრობის თავმჯდომარე პედაგოგებს შეხვდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, რესურსცენტრის წარმომადგენლებს და პედაგოგებს შეხვდა

შეხვედრაზე ისაუბრეს იმ ღონისძიებებზე, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით რეგიონში განხორციელდა.

აღინიშნა, რომ ზაფხულის განმავლობაში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, აქტიურად ტარდებოდა ტრენინგები და პედაგოგთა გადამზადების კურსები.

სამინისტროს დაფინანსებით აშენდა 4 ახალი საჯარო სკოლა, სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია კი 28 სკოლას ჩაუტარდა.

გასულ სასწავლო წელს ბათუმის მე-20 საჯარო სკოლაში უკრაინულენოვანი სექტორი დაფუძნდა, სადაც ამ ეტაპზე 900-მდე ბავშვია დარეგისტრირებული. ასევე, უკრაინელი ბავშვები ბათუმის სხვა საჯარო სკოლებშიც დაიწყებენ ახალ სასწავლო წელს სწავლას.

რა სიახლეებით ხვდება ახალ სასწავლო წელს აჭარა?

3

საბავშვო ბაღებში საღამოზრდელო პროცესი განახლდება

4

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რა პროგრამებს გეგმავს 2023 წლიდან აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

2023 წლიდან აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარულ მომსახურებას დააფინანსებს. ასევე, მომავალი წლიდან შშმ სტატუსის მქონე დედებსა და შშმ ორსულ ქალებს გაეწევათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით

- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება მოიცავს ამ დარღვევების კუპირებასა და მათ მკურნალობას. პროგრამის შემუშავება მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ მაღალმა მოთხოვნამ განაპირობა. ამიტომ კომპონენტის სახით ეს დაემატება მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამას. კიდევ ერთი სიახლე ის იქნება, რომ მომავალი წლიდან შშმ სტატუსის მქონე დედებსა და შშმ ორსულ ქალებს გაეწევათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით. მომავალი წლისთვის სამინისტრო გეგმავს მოზარდებისთვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებას, რომელიც ფსიქიკური პრობლემების მქონე 8-დან 25 წლის ასაკის ადამიანებს მოიცავს, მათ, ვისაც შშმ სტატუსი არ აქვთ, მაგრამ რომლებიც ასევე საჭიროებენ სერიოზულ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

იხ. მე-7 გვ.

უმაღლესი საბჭოს კომიტეტების სხდომებზე მინისტრებს მოუსმინეს

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა, აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა, ასევე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების სხდომაზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძეს მოუსმინეს, რომელმაც კანონმდებლების წინაშე 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტალის შესრულების ანგარიში წარადგინა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, რესპუბლიკური ბიუჯეტი ორი კვარტალის შემოსულობების ნაწილში 108,9 %-ით, ხარჯვითში კი 82 %-ით შესრულდა, ყველა დაგეგმილ პროექტზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების შემდეგ, მომხსენებელმა რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით საანგარიშო პერიოდში არსებულ ვითარებაზე თანამოხსენება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრებმა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისაგან მოისმინეს. ნინო ნიჟარაძის განცხადებით, წელს საგრძნობლად გაიზარდა ყველა პროგრამის ბიუჯეტი და შესაბამისად, ამ პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობაც.

სხდომაზე, ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ და მისმა მოადგილე ედუარდ ნაკაშიძემ წარადგინეს. როგორც აღინიშნა, მიმდინარე წელს, პროგრამის ფარგლებში, ეკომიგრანტებისთვის 38 სახლია შესყიდული, წლის ბოლომდე კი მათი რაოდენობა 100-მდე გაიზრდება.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, სკოლების მზადყოფნისა და საგანმანათლებლო პროცესის განახლების თაობაზე, ინფორმაცია აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილისგან მოისმინა.

მინისტრის განცხადებით, აჭარაში ყველა სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყებისთვის, ერთადერთი, რომელშიც სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო სწავლა ოქტომბერში განახლდება, ქალაქ ბათუმის მეორე საჯარო სკოლაა. აქ მიმდინარე სამუშაოები დასრულების ფაზაშია.

კომიტეტების სხდომებზე წარმოდგენილი საკითხები ცნობად მიიღეს.

ანკა ჩხიკვაძე

შეხვედრა - აჭარის განათლების სამინისტროში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. მსგავსი შეხვედრები, ტრადიციულად, სასწავლო წლის დაწყების წინ ეწყობა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს

შეხვედრას აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი რუსუდან შავიშვილი, საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები, მუნიციპალიტეტების რესურსცენტრების უფროსები ესწრებოდნენ.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაციები სეზონური ვირუსების პრევენციისა და ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

„ნაციონალური მოძრაობა“ - კინოფესტივალ „ბიაფის“ მხარდასაჭერად

ბათუმის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწვეული რიგგარეშე სხდომა კვორუმის არარსებობის გამო, ჩაიშალა. სხდომაზე „ქართული ოცნებისა“ და გახარიას „საქართველოსთვის“ პარტიის წევრები არ მივიდნენ, არც „ნაციონალური მოძრაობა“ იყო სრული შემადგენლობით წარმოდგენილი. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ სხდომის მოწვევის თაობაზე საკრებულოს აპარატს 13 სექტემბერს მიმართა. დღის წესრიგი „ბათუმის კინოფესტივალ „ბიაფის“ მხარდასაჭერად, მის შეუფერხებლად ჩასატარებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღებას ითვალისწინებდა.

„ნაციონალური მოძრაობა“ „ბიაფის“ დაფინანსებას ბიუჯეტში ცვლილების შეტანის ხარჯზე ითხოვდა. ოპოზიციას მიაჩნია, რომ ფესტივალის ორგანიზატორები დასაჯეს და 16 წლის შემდეგ, დაფინანსება ბათუმის მერიიდან არ გაიცა. ბრალდება უარყვეს მმართველ გუნდში და განაცხადეს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მორიგი პოლიტიკური შოუს მოწყობა სცადა. „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე თენგიზ აფხაზავამ განმარტა, რატომ ვერ დაფინანსდა კინოფესტივალი.

„თავისი ხალხი ვერ შეკრიბეს, ათი კაცი ესწრებოდა სხდომას. პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა, თითქოს ბრაზის და შურის გამო არ დავაფინანსეთ „ბიაფი“. როდესაც „ბიაფზე“ განაცხადი შემოიტანეს, ფესტივალებისთვის გამოყოფილი თანხა გადანაწილებული იყო სხვადასხვა ფესტივალზე. ეს იყო მიზეზი. არ შეიძლება ყველა საკითხთან დაკავშირებით, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ მოეხუშტურება, ბიუჯეტში ცვლილება შევიდეს. უნდა მივეჩვიოთ, რომ წესი, რიგი, კანონი ყველასთვის ერთია. ასეთ შოუებს აწყობდნენ და არ შედგა საკრებულო. ხომ შემოვიდნენ და მუშაობენ ახლა? ადრე რომ შემოსულიყვნენ, არ იქნებოდა ფორსმაჟორში მისაღები დებულება, არც უწყვეტ ნაკადად შემოვიდოდა განაცხადები და ეს პრობლემაც არ იარსებებდა. „ბიაფის“ დაფინანსების წინააღმდეგი არავინაა, ოღონდ განაცხადები დროულად უნდა შემოიტანონ. კიდევ ერთხელ განვმარტავ - პირველი ვადა იყო 31 ივლისი. როგორც კი საკრებულომ დებულება მიიღო, წამოვიდა ძალიან დიდი ნაკადი განაცხადების და კომისიამ დაიწყო განხილვა. კონკრეტული ფესტივალების დაფინანსების შესახებ მივიღეთ გადაწყვეტილებები. 500 ათასი ლარი, რომელიც გამოყოფილი იყო ფესტივალებისთვის, ამოიწურა. ამის შემდეგ შევიდა განაცხადი „ბიაფზე“, - აღნიშნა თენგიზ აფხაზავამ.

ანკა ჩხიკვაძე

ამბები

ვიზიტი - ბურგასში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ქალაქ ბათუმის მერიის დელეგაცია ბულგარეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ვიცე-მერ ლევან დავითაძის ხელმძღვანელობით, ბათუმთან დაძმობილებულ ქალაქ ბურგასის მერ დიმიტარ ნიკოლოვს შეხვდა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის რესპუბლიკაში თამარ ლილუაშვილი. განიხილეს ბათუმსა და ბურგასს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები და ორი ქალაქის განვითარების კუთხით არსებული წარმატებული გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბულგარეთის რესპუბლიკაში თამარ ლილუაშვილი, ბათუმის მერიისა და საკრებულოს დელეგაციასთან ერთად, ბურგასის მუნიციპალიტეტის წმინდა ანასტასიას კუნძულს ეწვია, სადაც შეხვედრა გაიმართა კუნძულის გუბერნატორ პავლინ დიმიტროვთან. შეხვედრისას ისაუბრეს ტურისტთა მოზიდვის სტრატეგიებსა და სამომავლო გეგმებზე.

ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა ქალაქ ბურგასის პორტის წარმომადგენლებთანაც.

„სამხედრო საქმე“ - სკოლებში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ახალი 2022-2023 სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლეებს სამხედრო საქმეს მოქმედი სამხედროები შეასწავლიან, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს. გაკვეთილები კვირაში ერთხელ ჩატარდება.

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებაში ვკითხულობთ, ქართველი სამხედრო ოფიცრები საგანმანათლებლო პროექტ „სამხედრო საქმის“ ფარგლებში, VII-IX კლასების მოსწავლეებს გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

ესაა საპილოტო პროექტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 18 სკოლის 300-ზე მეტი მოსწავლე საქართველოს მაღალმთიან რაიონებში. გარდა ამისა, ფართოვდება საგანმანათლებლო პროექტი „თავდაცვა და უსაფრთხოება“, რომელსაც განათლებისა და თავდაცვის სამინისტროები ერთობლივად ახორციელებენ.

ბოლო პერიოდში პროექტს შეუერთდა კიდევ 18 პედაგოგი, საიდანაც 12 ყოფილი სამხედროა. მათ გადამზადების კურსი გაიარეს. კიდევ ექვსი გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ინსტრუქტორია.

სკოლის მოსწავლეები არჩევითი კურსის „თავდაცვა და უსაფრთხოება“ ფარგლებში აიმაღლებენ ცოდნას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: სამოქალაქო უსაფრთხოება, შეიარაღებული საფრთხეების წყაროები, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა, პირველადი დახმარების მეთოდები, საქართველოს თავდაცვის სისტემა და თავდაცვის ძალების საქმიანობა.

რა სიახლეებით ხვდება ახალ სასწავლო წელს აჭარა?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, წელს საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი 15 სექტემბერს საქართველოს ჰიმნით და საქართველოს დროშის აღმართვით დაიწყება. საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს სკოლებში, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, 632 726 მოსწავლე ისწავლის, მათ შორის 55 717 პირველკლასელი. საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე კვლავ უზრუნველყოფილი იქნება წიგნებითა და რვეულებით, პირველკლასელები და მათი დამრიგებლები კი პორტაბელურ კომპიუტერებს მიიღებენ. სასწავლო პროგრამას დამოუკიდებელ საგნად დაემატა „საქართველოს ისტორია“, ხოლო პირველკლასელები ჭადრაკს შეისწავლიან. ასევე იგეგმება ახალი საგანმანათლებლო პროექტების პილოტირება.

როგორ ხვდება ახალ სასწავლო წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ამაზე მინისტრი ***მაია ხაჯიშვილი*** *საუბრობს.*

- ქალბატონო მაია, რამდენად მომზადებული და რა სიახლეებით ხვდება აჭარა ახალ სასწავლო წელს?

- რეგიონის ყველა საჯარო სკოლა, გარდა ბათუმის მეორე სკოლისა, სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს. 11000 მოსწავლე სწავლას განახლებულ გარემოში შეძლებს. გრძელდება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბათუმში დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა. რამდენიმე სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, სწავლა განახლდება ახლომდებარე სკოლებში, სადაც მოსწავლეთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამინისტრო. სკოლებს მიეწოდათ დეტალური ინსტრუქციები რეგულაციებთან დაკავშირებით. ყველა სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელოებით.

- რამდენი პირველკლასელი ჰყავს აჭარის რეგიონს?

- აჭარის საჯარო სკოლის პირველ კლასში სწავლას დაიწყებს 5625 მოსწავლე, კერძოში - 843 მოსწავლე. აქედან, ბათუმში - 4099; ქობულეთში - 1115; ხელვაჩაურში - 752; ქედაში - 167; შუახევში - 115; ხულოში - 220. მინდა თითეულ მათგანს წარმატებები და პროგრესული მომავალი ვუსურვო.

- წელს რამდენი ახალი სკოლა დაიწყებს ფუნქციონირებას და რამდენი სკოლაა მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში?

- ორი ახალი სკოლა დაიწყებს ფუნქციონირებას - ქედქედისა და განახლების. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 28 სკოლას და რეაბილიტაციის პროცესშია კიდევ 20 სკოლა.

- სკოლების სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფის კუთხით რა სიახლეები?

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მხატვრული ლიტერატურა შევიდა 11 საჯარო სკოლაში, სპორტული ინვენტარი - 10 საჯარო სკოლაში, მუსიკალური ინსტრუმენტები (ბენდის კომპლექტი) - 16 საჯარო სკოლაში, ტექნიკის კომპლექტით (ლეპტოპი, პროექტორი, გახმოვანება) აღიჭურვა 2 საჯარო სკოლის ყველა საკლასო ოთახი. სასკოლო მერხის და სკამის 421 კომპლექტი კი შეტანილია 2 საჯარო სკოლაში. ეტაპობრივად კიდევ მიმდინარეობს 17 სკოლის მომარაგება.

- რომელ ახალ საგანმანათლებლო, ასევე საპილოტე პროექტში ჩაერთვება აჭარის საჯარო სკოლები?

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით იწყებს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ განხორციელებას. პროექტის ფარგლებში ორ მუნიციპალიტეტში (ქედა და ქობულეთი) შეიქმნება ინკლუზიური განათლების ცენტრები სსიპ „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლის“ და სსიპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქობულეთის N3 საჯარო სკოლის“ ბაზაზე. იგი მომსახურებას გაუწევს თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სსსმ მოსწავლეებს სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტივობების შეთავაზების გზით. გრძელდება პროექტები, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ სამუსიკო განათლების გაძლიერებას სკოლებში, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ასევე, სასკოლო კლუბების მხარდაჭერა, სხვადასხვა კონკურსის, ოლიმპიადების ჩატარება... ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო საგანმანათლებლო პროცესებია წინ. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ სიახლეებთან ერთად ხდება, რაც უკავშირდება ახალი საგნების შემოტანას. მოგეხსენებათ, ჭადრაკი დაიწყება უკვე როგორც დამოუკიდებელი საგანი პირველ კლასში, ასევე, დამოუკიდებელი საგანი იქნება „საქართველოს ისტორია“. აქვე მინდა შევეხო უკრაინულ სექტორს, რომელსაც საფუძველი ბათუმის № 20 საჯარო სკოლაში გასული სასწავლო წლის დასასრულს ჩაეყარა. მაშინ 100 მოსწავლით დავიწყეთ ეს პროცესი. ზაფხულის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით შესაბამის მხარეებთან იმისთვის, რომ უკვე მომდევნო კლასებშიც შეგვეთავაზებინა მოსწავლეებისთვის უკრაინულენოვანი განათლება, უკრაინული პროგრამით. შედეგად, 900-მდე მოსწავლე ახალ სასწავლო წელს შეხვდება ბათუმში, უკრაინულ სექტორზე. ვულოცავ და წარმატებულ, ნაყოფიერ, საინტერესო, სიახლეებით დატვირთულ სასწავლო წელს ვუსურვებ ჩვენს მოსწავლეებს და პედაგოგიურ კოლექტივს.

უკრაინა

თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრატეგიული კომუნიკაციების კოორდინატორ ჯონ კირბის განცხადებით, აშშ-ის ადმინისტრაცია უკრაინისთვის დახმარების ახალ პაკეტს ამზადებს, რომელიც უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. კირბის თქმით, აშშ-ს ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს უკრაინულ მხარესთან, რათა დაადგინოს და განსაზღვროს, კონკრეტულად რა სჭირდება კიევს იმისთვის, რომ რუსეთის აგრესიას დაუპირისპირდეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დაამტკიცა, რომ პარტნიორებისგან მიწოდებული იარაღი ძალიან ეფექტიანი აღმოჩნდა კონტრშეტევითი ოპერაციების დროს. თეთრი სახლის წარმომადგენელმა შეიარაღებული ძალების კონტრშეტევით ოპერაციებს ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთით გარდამტეხი მომენტი უწოდა.

* * *

ავსტრიული კომპანიები უკრაინაში სამი სამედიცინო დაწესებულების მშენებლობისა და აღჭურვისთვის 600 მილიონი ევროს ინვესტიციას განახორციელებენ, - ინფორმაციას მედიასაშუალებები ავსტრიის ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებენ. მათივე ცნობით, პროექტებს ავსტრიული და გერმანული ბანკები დააფინანსებენ. „ომის გამო გაიზარდა სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის აუცილებლობა. ავსტრიული კომპანიები პირველ ეტაპზე სამ კონკრეტულ პროექტს განახორციელებენ, ესენია: კიევის ბავშვთა ეროვნული საავადმყოფო „ოჰმატდეტის“ მშენებლობა და აღჭურვა, კიევში თანამედროვე საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა და აღჭურვა და უკრაინის ეროვნული სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა ლვოვში“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

რუსეთის წინააღმდეგ კონტრშეტევაში უკრაინის წარმატება მის მოკავშირეებსა და პარტნიორებს არ გაკვირვებიათ, - ამის შესახებ პენტაგონის პრესმდივანმა, საჰაერო ძალების ბრიგადის გენერალმა პეტ რაიდერმა განაცხადა. „ვფიქრობ, თუ ვინმეს გაუკვირდა, იმ შეტყობინებებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩვენ ვნახეთ რუსეთის სამხედროების რეაქციის თვალსაზრისით, ეს ალბათ, რუსები იყვნენ“, - აღნიშნა მან. პენტაგონის პრესსპიკერის განცხადებით, შეერთებულმა შტატებმა თავიდანვე დაინახა უკრაინელების შესანიშნავი ადაპტირებისა და მათი საბრძოლო შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების უნარი. „რა თქმა უნდა, უკრაინაში რუსეთის შეჭრის დაწყებიდან, ჩვენ ვნახეთ, რომ უკრაინელებმა აჩვენეს შესანიშნავი ადაპტაციის და თავიანთი საბრძოლო შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენების უნარი. ასე რომ, ჩვენთვის გასაკვირი არ არის, რომ ისინი ასე სწრაფად წავიდნენ წინ“, - აღნიშნა გენერალმა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ხარკოვის ოლქის დეოკუპირებულ ქალაქ იზიუმში ჩავიდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია საჰაერო-სადესანტო ბრიგადაზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, იზიუმში უკრაინის სახელმწიფო დროშა აღმართეს. „სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარმა, უკრაინის შეიარაღებული ძალების და სხვა უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლებმა, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს ქალაქი „რაშისტი“ ოკუპანტებისაგან“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს უკრაინული მიწების გათავისუფლებისთვის, რის შემდეგაც საკრებულოს შენობის თავზე უკრაინის დროშა საზეიმოდ აღიმართა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევას ეხმიანება და აცხადებს, რომ მათ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს, თუმცა წინ ჯერ კიდევ გრძელი გზაა. კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა, რომ ახლა უკრაინის ომში გარდამტეხი მომენტი დგას, აშშ-ის ლიდერმა უპასუხა, რომ „ამჟამად ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. რთული სათქმელია“. შეგახსენებთ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ მიმდინარე თვეში უკრაინის ძალებმა ოკუპაციისგან დაახლოებით 8000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია გაათავისუფლეს.

* * *

კრემლმა ხარკოვის ოლქში მარცხი აღიარა, რაც მოსკოვის მიერ უკრაინაში განცდილი მარცხის აღიარების პირველი შემთხვევაა 2022 წლის თებერვლის შემდეგ, - ამის შესახებ „ომის შემსწავლელი ინსტიტუტის“ ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ინფორმაციით, კრემლის ოფიციალური პირები და სახელმწიფო მედიის პროპაგანდისტები ინტენსიურად განიხილავენ ხარკოვის ოლქში რუსეთის მარცხის მიზეზებს, რაც შესამჩნევი ცვლილებაა რუსეთის „გაზვიადებული ან შეთითხნილი წარმატებების გაშუქების წინა მოდელისგან“. ორგანიზაციის შეფასებით, კრემლის მიერ მარცხის აღიარება იმ ძალისხმევის ნაწილია, რომლის მიზანი წარუმატებლობით გამოწვეული კრიტიკის პრეზიდენტ პუტინიდან თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო ხელმძღვანელობაზე გადატანაა. „კრემლის წყაროები ახლა მუშაობენ იმისათვის, რომ პუტინი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლონ და ხარკოვის დაკარგვაში პუტინის გარემოცვის არაინფორმირებული სამხედრო მრჩევლები დაადანაშაულონ“, - აღნიშნულია ანგარიშში. შეგახსენებთ, უკრაინის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ხარკოვის რეგიონში რუსი დამპყრობლებისგან 300-ზე მეტი დასახლება გაათავისუფლეს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკა

„ბიზნესპრესნიუსი“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში თავშესაფრის მიღების მოთხოვნაზე მიმართვა გაიზარდა. კერძოდ, ამა წლის პირველ ნახევარში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობა 804 იყო, რაც გასული მთლიანი წლის მაჩვენებელს (743 განაცხადი) აღემატება. აი, იმ ქვეყანათა ტოპ-ოთხეული, რომელთა მოქალაქეებმაც მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში ჩვენს ქვეყანაში

თავშესაფარი ითხოვეს: უკრაინა - 368 მოქალაქე; თურქეთი - 96 მოქალაქე; ირანი - 79 მოქალაქე; რუსეთი - 54 მოქალაქე.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე მომხდარ შეტაკებებს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან, 100-მდე ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. სომხეთმა განაცხადა, რომ მისი სულ მცირე 49 ჯარისკაცი დაიღუპა, აზერბაიჯანის ინფორმაციით კი, მისი დანაკარგი 50 ჯარისკაცს შეადგენს. საზღვარზე ვითარება სამშაბათს დაიძაბა. სომხეთმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე რამდენიმე ქალაქი, მათ შორის ჯერმუკი, გორისი და კაპანი დაბომბეს და მათ აზერბაიჯანის „მასშტაბურ პროვოკაციას“ უპასუხეს. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი, თავის მხრივ, განაცხადა, რომ სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა „მასშტაბური პროვოკაცია“ მოაწყო, რომლის დროსაც ტერიტორიის ნაწილი დანაღმა და მათ სამხედრო პოზიციებს ცეცხლი გაუხსნა. მხარეები ერთმანეთს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ.

* * *

„კიევმა წარმოშვა „უსაფრთხოების გარანტიების“ პროექტი, რომელიც არსებითად მესამე მსოფლიო ომის პროლოგია. რა თქმა უნდა, არავინ მისცემს „გარანტიებს“ უკრაინელ ნაცისტებს“, - წერს რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დმიტრი მედვედევი ტელეგრამის არხზე. მისი თქმით, სამხედრო კამპანია უკრაინაში გადავა ახალ დონეზე და დაკარგავს ხილულ საზღვრებს, თუ დასავლეთი განაგრძობს კიევის იარაღით მომარაგებას. „ჩვენმა მოსისხლე მეგობრებმა - სხვადასხვა კალიბრის დასავლელმა ბოსებმა საბოლოოდ უნდა გაიგონ ერთი მარტივი რამ. ეს პირდაპირ ეხება ნატოსა და რუსეთს შორის ჰიბრიდულ ომს. თუ ეს იდიოტები გააგრძელებენ კიევის რეჟიმის ყველაზე სახიფათო ტიპის იარაღებით დატენვას, ადრე თუ გვიან, სამხედრო კამპანია სხვა დონეზე გადავა“, - წერს მედვედევი. მისივე თქმით, ამ კამპანიას არ ექნება ხილული საზღვრები და მხარეთა ქმედებები პოტენციურად არაპროგნოზირებადიც კი გახდება. „ის მიჰყვება თავის სამხედრო სცენარს, რომელშიც ჩაერთვებიან ახალი მონაწილეები. ყოველთვის ასე იყო“ , - წერს მედვედევი.

* * *

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (ODKБ) სომხეთში მისიას აგზავნის, რომელსაც ორგანიზაციის გენერალური მდივანი სტანისლავ ზასი უხელმძღვანელებს, - ინფორმაციას სომხური მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, მისია აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის ზონაში ვითარებას შეაფასებს, ანგარიშს მოამზადებს და შეიმუშავებს წინადადებებს დეესკალაციის შესახებ. ამასთან, ODKБ-ის კოლექტიური უშიშროების საბჭოში მიიღეს გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც მუდმივ მონიტორინგს გაუწევს სიტუაციას.

* * *

უკრაინის პორტები მარცვლეულით დატვირთულმა კიდევ ხუთმა გემმა დატოვა, - ინფორმაციას თურქეთის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. „მარცვლეულის მიმდინარე გადაზიდვის ფარგლებში, დღევანდელი დილის მდგომარეობით უკრაინის პორტები კიდევ ხუთმა გემმა დატოვა,“ - წერს თურქეთის თავდაცვის უწყება. უკრაინული მედიის ინფორმაციით, უკრაინას, თურქეთს, რუსეთსა და გაეროს შორის მარცვლეულის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ამოქმედებიდან დღემდე უკრაინიდან, ჯამში, 3.1 მილიონი ტონა მარცვლეულით დატვირთული 134 რეისი განხორციელდა.

მოამზადა
ია შველიძემ

საბავშვო ბაღებში საალმზრდელო პროცესი განახლდა

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

საბავშვო ბაღი ის სივრცეა, სადაც ბავშვი განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს გადის. სკოლამდელ ასაკში მიღებული ინფორმაცია, განცდილი ემოცია პიროვნების ფორმირებაში უდიდეს როლს ასრულებს და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ბავშვის განვითარების ეს ეტაპი სწორად წარიმართოს

ბათუმის მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი დღეს, 15 სექტემბერს განახლდა. რა სიახლეებით შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს ბათუმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები? ამაზე დეტალურად გვპასუხობს ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ***დავით დიასამიძე****, რომელიც ამ თანამდებობას გასული წლის 15 დეკემბრიდან იკავებს.*

- ბატონო დავით, თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში რისი გაკეთება შეძელით და რისი - ვერა?

- ჩვენ ჩავიბარეთ გამართული პროცესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა მისვლისთანავე დავიწყეთ მეთოდოლოგიური მიმართულების გაძლიერება. ეს გულისხმობს, რომ დავნერგეთ მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც მოიცავს ტრენინგებს, სპეციალურ პროგრამებს... გადამზადება ჩემთვის პრიორიტეტი და მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ასევე საყურადღებოა კვების საკითხი, რომელიც, ბუნებრივია, ჩემამდეც იყო მოწესრიგებული, თუმცა ახლა კიდევ უფრო ვაუმჯობესებთ. ვცდილობთ, რაც შეიძლება ჯანსაღ კვებაზე გადავიყვანოთ ჩვენი აღსაზრდელები. ჩემი მთავარი მიზანია ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება, ჰიგიენური, კვების, ჯანდაცვის, ბავშვის მიღებისა და უსაფრთხოების, ჯანსაღი და ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. ასევე, მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღების რაოდენობის გაზრდა და მათი განახლება. ამ ეტაპისთვის ორ საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. მოგეხსენებათ, არის ისეთი შენობებიც, რომლებიც 40-50 წლის წინაა აშენებული და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. დღეისთვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მდგომარეობაა ბათუმში ამ მიმართულებით. ასევე დეკემბერში სამი ახალი ბაღი შეგვემატება ჩაქვში, ბაგრატიონის ქუჩაზე და ბარცხანაში. აღსანიშნავია, რომ მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ბაღებზე. პირველი, რაც ჩვენთან მოსულ მშობელს აინტერესებს კომფორტი, სივრცე, კარგი კვება და მეთოდოლოგიური კურსებია. სწორედ, ამ ყველაფერზე ვაკეთებთ აქცენტს.

- სპეციალისტების, აღმზრდელების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია...

- ეს ის საკითხია, რომელზეც შეიძლება ძალიან ბევრი ვისაუბროთ, რადგან სწორედ ამ ადამიანებზეა დამოკიდებული ბევრი რამ. მნიშვნელობა ენიჭება სპეციალისტების გადამზადებას. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ გვყავდეს მომზადებული სპეციალისტები. მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტს უნდა ჰქონდეს უნარი, მშობელი დააკვალიანოს ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, რაც ბავშვის განვითარებისთვის არის საჭირო და გასათვალისწინებელი. სისტემატურ რეჟიმში, იუნისეფის დახმარებით, მიმდინარეობს ტრენინგები, ასევე, გვერდში გვიდგანან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბსუ-ის კვალიფიციური პროფესორები, პედაგოგების სახით. ბავშვის განვითარება იწყება სამი წლის ასაკიდან, ბაღიდან და, შესაბამისად, უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენ სწორად წავმართოთ ყველა ის საფეხური, რაც არის საბაზისო, რათა ბავშვი სკოლისთვის მოვამზადოთ.

- რა განსხვავებაა კერძო და სახელმწიფო ბაღს შორის?

- ბუნებრივია, რომ კერძო ბაღები ორიენტირებულია მოგებაზე, სახელწიფო ბაღი კი შედეგზე, მაქსიმალურ კომფორტზე. აღსანიშნავია ის სახელმწიფო დახმარებები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ბაღების განვითარებასა და ინფრასტრუქტურის განახლებას. ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს მონიტორინგს ქალაქის მერი. ის დიდ ყურადღებას აქცევს ამ ყველაფერს, შესაბამისად, მომსახურება, რომელსაც მუნიციპალიტეტი თანაქალაქელებს აწვდის, უმაღლესი ხარისხისაა. აღმზრდელს გაცილებით მეტი ანაზღაურება აქვს სახელმწიფო ბაღში, ვიდრე კერძოში. მე არ ვაკნინებ კომერციული ბაღების სტატუსს, შესაძლოა, ისეთი კომერციული ბაღიც იყოს, რომ ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდეს. ჩვენთვის პრიორიტეტია აღმზრდელის პროფესიონალიზმი, ამიტომ პედაგოგების მიღებისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩენთ.

- მოგეხსენებათ, ჩვენს რეგიონში წელს ბევრი უცხოელი მოქალაქე დამკვიდრდა, განსაკუთრებით - უკრაინელები და რუსები. მათი პატარების საბავშვო ბაღებში მიღების მხრივ რამე პრობლემა ხომ არ წარმოიქმნა?

- პირველ რიგში, ვცდილობთ ჩვენი რეგიონის მცხოვრებლების ინტერესების და მოთხოვნების დაკმაყოფილებას და, პარალელურად, მაქსიმალურ აქცენტს ვამახვილებთ უცხოელ მოქალაქეებზეც. გვყავს უკრაინელი ბავშვები, რომელთაგან ერთ-ერთი მშობელი - დედა ან მამა, ცხოვრობს და მოღვაწეობს უკრაინაში, მაგრამ რეგისტრაცია აქვთ გავლილი ბათუმში. შესაბამისად, ასეთ დროს შეძლებისდაგვარად ვეხმარებით.

- რეგისტრაციაზე რას გვეტყვით?

- ბავშვთა რეგისტრაციის პროცესი სპეციალური პროგრამით, ინტერნეტრეჟიმში მიმდინარეობს ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს ვებგვერდზე. მოქალაქეებს, ვისთვისაც ინტერნეტი ხელმიუწვდომელია, რეგისტრაციის გავლაში ეხმარება ბაგა-ბაღის დირექცია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭებათ მათ, ვის მშობელსაც გავლილი აქვს რეგისტრაცია. თუ მშობელმა, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის გამო, გვიან მიიღო გადაწყვეტილება ბავშვის ბაღში მიყვანის თაობაზე, შესაძლებელია, დაიშვას გამონაკლისი და, ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით, ბაგა-ბაღის ჯგუფს დაემატოს ერთი ბავშვი. ამასთან, გვყავს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები, მათაც ვანაწილებთ სხვადასხვა ბაღში, სადაც დასაქმებული გვყავს სპეცმასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისის მიწოდებას. ასევე, გვყავს ლოგოპედიც და, შესაბამისად, ყველა ის ბავშვი, რომელიც განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს, ირიცხება ისეთ ბაღში, რომელიც მის საჭიროებებზე ყველაზე კარგადაა მორგებული.

- სიახლეებზე რას გვეტყვით?

- მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები და პროგრამები იგეგმება, რომელსაც ეტაპობრივად იხილავენ ბათუმელები. ეს იქნება ის ინოვაცია, რომელიც განვითარებას და დამკვიდრებას სწორედ ბათუმიდან დაიწყებს. გვექნება სხვადასხვა აქტივობა, თეატრებით დაწყებული, დელფინარიუმში სტუმრობით დასრულებული. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი წელი გველოდება წინ.

სასკოლო ნივთების ფასები - სავაჭრო ცენტრებსა და ბაზრობებზე

რას ყვებიან მშობლები?

ზიჟრია დავლაძე 579 25 25 72

სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად მშობლების ძირითადი საზრუნავი თავიანთი მოსწავლე შვილების სასკოლო აქსესუარებითა და შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფაა

მშობლების ეს ყოველწლიური რუტინა საკმაოდ დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. როგორც ისინი ყვებიან, შარშანდელთან შედარებით, ტანსაცმელსა და სხვადასხვა სასკოლო აქსესუარზე ფასები გაორმაგებულია, ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი კი, ფაქტობრივად, რაც გასულ წელს იყო, იგივე დარჩა. მას, ვისაც ორი ან მეტი შვილი ჰყავს, ახალი სასწავლო წლისთვის მომზადება ძვირი უჯდება. რამდენიმე მშობელი გამოვკითხეთ, რომლებმაც კრიზისის მიუხედავად, შვილებს აუცილებელი სასკოლო ნივთები ბაზრობებსა თუ მოლებში შეუძინეს.

- ჩემი შვილი წელს მეოთხე კლასში გადავიდა, განსაკუთრებით ვემზადებით, რადგან გასულ წლებში კორონავირუსის პანდემიის გამო ნორმალურად არც გვივლია სკოლაში,. ძირითადად, სახლიდან უწევდათ ონლაინგაკვეთილები. აქედან გამომდინარე, მინდა ყველანაირად გავახალისო ბავშვი და მეტი მოტივაცია მივცე სწავლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სულ ახალივითაა ჩვენი ძველი ჩანთა, მაინც ახალი სურს ბავშვს, თვითონ მითხრა, ცუდ მოგონებებთან ასოცირდება, იმ პერიოდს მახსენებს, როდესაც ერთმანეთთან კომუნიკაცია მხოლოდ ტელეფონის მეშვეობით იყო შესაძლებელიო. მეც არ ვეწინააღმდეგები, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძვირი მიჯდება ბავშვებისთვის სასკოლო ნივთების შეძენა. ტანსაცმელი აუცილებელია ახალი იყოს, რადგან გასული წლის არც ერგებათ წელს. ფული ვისესხე ამისთვის - სამი მოსწავლის სასკოლოდ მომზადება დიდ ხარჯებს მოითხოვს. სკოლის ძველი ნივთების გაჩუქებას ვაპირებ, თითქმის ახალივითაა, მინდა გავახარო რამდენიმე ბავშვი და სკოლაში ბედნიერები წავიდნენ. კარგი იქნება, ასე თუ დავეხმარებით ერთმანეთს ამ გაჭირვების ჟამს. მეც არ ვიტყოდი უარს მსგავს შემოთავაზებაზე. რადგან ბავშვებს მხოლოდ თეთრი პერანგები უნდა ჩავაცვათ წლის განმავლობაში (ჩვენს ჯგუფში სხვა ფერისას არ აცმევენ, რასაც მივესალმები), ამიტომ რამდენიმე პერანგი და შარვალი აუცილებელია მოსწავლისთვის. მე პირადად სამივე შვილს თითო წყვილი ტანსაცმელი ვუყიდე რაც შეიძლება ეკონომიურად, მაგრამ 1000 ლარი მაინც დაიხარჯა, - ამბობს სამი შვილის დედა სოფიო გუბელაძე.

სოფიოსგან განსხვავებით, ლიკა სასკოლო ნივთების საყიდლად თურქეთში გაემგზავრა. ამბობს, რომ ხარისხითაც და ფასებითაც კმაყოფილია.

- ყოველთვის თურქეთში გადავდივარ, როცა წამალი ან საკვები პროდუქტი მჭირდება, წელიწადში ერთხელ კი სასკოლო ტანსაცმლისთვის მივემგზავრები. ჩვენთან ყველაფერი ძვირია, როგორ უნდა შეიძინო, როცა ორი ან მეტი მოსწავლე გყავს ოჯახში. ჩემი გოგონასთვის კაბები, პერანგები და ჩანთა ვიყიდე. ძალიან იაფი იყო წინდები, კოლგოტები, სხვადასხვა აქსესუარი. დაახლოებით 500 ლარი გადავახურდავე ლირებად და ამით რამდენიმე წყვილი ტანსაცმელი შევუძინე ბავშვს. რა თქმა უნდა, მომგებიანია და კმაყოფილიც ვარ, რომ ასე მოვიქეცი. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ძალიან ბევრი ქართველი გადადის თურქეთში, რათა იქ შეიძინონ ყველაფერი. იქნებ გაიაფდეს საქართველოში ოდნავ მაინც პროდუქტი, მედიკამენტები და ბავშვებისთვის საჭირო ნივთები, - გვეუბნება ლიკა ქარცივაძე.

ოთხი შვილის დედამ თამარ დონდოლაძემ კი საკანცელარიო ნივთების შესაძენად ბათუმში არსებულ სავაჭრო ცენტრებს მიმართა, სადაც სასწავლო წელთან დაკავშირებით სპეციალური შემოთავაზებებით სარგებლობა შეძლო. მას შვილებისთვის ტანსაცმელი არ უყიდია, ამბობს, რომ წელს ბავშვები სკოლაში ერთმანეთის გამოყენებული პერანგებითა და შარვლებით წავლენ.

- აუცილებელი იყო საკანცელარიო ნივთების შეძენა, თუმცა ესეც საკმაოდ ძვირია დღესდღეობით. ამიტომ გადავწყვიტე, სპეციალური შეთავაზებებით მესარგებლა, წავედი სავაჭრო ცენტრებში, სადაც ძალიან კარგ ფასებში იყო რვეულები, წიგნების შემოსაკრავი დამცავები, კალმები, ფანქრები, პენალები, სახატავი რვეულები... საერთო ჯამში, ოთხივე შვილის ნივთებისთვის 100 ლარამდე გადავიხადე. მე კმაყოფილი ვარ, რადგან ასეთი შემოთავაზება შარშან არ მახსოვს და გაცილებით მეტი დამეხარჯა ამ ნივთებში, - გვითხრა თამარმა.

საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი დღეს, 15 სექტემბერს განახლდა. გასულ წლებში საჯარო და კერძო სკოლებში სასწავლო პროცესი შერეული ფორმატით მიმდინარეობდა. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, წელს ქვეყნის მასშტაბით პირველ კლასში 49 535 ბავშვი ისწავლის.

„თუკი პირობები შესრულდება, მაშინ გერმანია დაეხმარება საქართველოს“

გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტს კითხვაზე - თუ საქართველო შეასრულებს ევროკავშირის 12 პუნქტს, უნდა ჰქონდეს თუ არა მას იმის გარანტია, რომ გერმანია პირველ რიგში დაუჭერს მხარს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღებას, უპასუხა: „ჩვენ დიდი წვლილი შევიტანეთ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც ევროკავშირის საბჭომ უკვე მიიღო და ეს გახლავთ ევროპული პერსპექტივა. 12 კრიტერიუმი დასახელებულია, რომლებიც აუცილებელია კანდიდატის სტატუსის მისაღებად, ეს არის უკვე ის, რაც ქვეყანამ თვითონ უნდა გააკეთოს, უნდა მიაღწიოს ამას. თუკი ეს პირობები შესრულდება, რაც აუცილებელია სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოების, საბაზრო ეკონომიკების წრეში შესასვლელად, მაშინ გერმანია დაეხმარება საქართველოს, გერმანია შეასრულებს თავის სიტყვას, რომელიც მან მისცა საქართველოს. ცოტა ხნის წინ პრაღაში - კარლის უნივერსიტეტში გამოვედი სიტყვით და იქ პირდაპირ ვილაპარაკე ამის შესახებ და მე ამ ევროპულ ადგილას, ევროპულ ქალაქში წავიკითხე სწორედ ეს სიტყვა, სადაც ძალიან მკაფიოდ დავაფიქსირე ჩემი პოზიცია“.

ამირან გურიელიძე

სკოლის დირექტორობაც არასდროს უნატრია, თუმცა მინისტრის მრჩეველობა – კი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„ძვირფასო მასწავლებელო ნონა, სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მადლიერი ვიქნები, ყველა ჩემს წარმატებას თქვენ გიმადლით, ახლაც ჩამესმის თქვენი ხმა, სიყვარულით გიგონებთ, გხედავთ კიდეც“... ეს სიტყვები ამონარიდია ყოფილი მოსწავლის ბარათიდან. მსგავსი შინაარსის წერილები ქალბატონ ***ნონა ჯანაშიას*** *ელექტრონულ ფოსტაში ათეულობით ინახება. ყოფილი მოსწავლეები ახლაც, მრავალი წლის შემდეგაც, ეხმიანებიან და დაბადების დღეს ულოცავენ. ეს სიყვარული და პატივისცემა თავისი მრავალწლიანი თავდადებული, მაღალპროფესიული საქმიანობით მოიპოვა. უკვე ათეული წლებია, დაწყებით კლასებში წარმატებით ასწავლის სამ საბაზისო საგანს. წამყვანი მასწავლებელი არაერთ ჯილდოს ფლობს, მათგან ყველაზე მეტად კი მოსწავლეთა და მათი მშობლების მიერ გამოხატული სიყვარული ახარებს, არაერთ ლიტერატურულ ღონისძიებაზე რომ გამოხატავენ, სადაც მის ლექსებს კითხულობენ. ნონა ჯანაშია ხომ კალმოსანია, პოეზიის მადლით ცხებული. არაერთ ლიტერატურულ გამოცემაში იბეჭდება და ყურადღებასაც იპყრობს. შარშან „მწიგნობარის“ მოწვევით ბათუმშიც იმყოფებოდა, შეხვდა „მწიგნობარის“ მოსწავლეებს, ესაუბრა მათ, კოლეგებს თავისი გამოცდილება გაუზიარა. მას ღრმად სწამს, რომ ვინც სხვას ასწავლის, თავადაც ყოველდღიურად უნდა სწავლობდეს, რომ სწავლა ოჯახიდან იწყება და სკოლაში გრძელდება და რომ პოეზიის სიყვარულის გაღვივება ახალგაზრდებში მათი მომავლის მტკიცე ბალავარია, რადგან ლექსის მოყვარული და მკითხველი ადამიანი სულიერად ძლიერია და თვალხილული. მაშ, ასე, ჩვენი სტუმარია პედაგოგი და პოეტი ნონა ჯანაშია.*

- გამორჩეული პედაგოგი ხართ, სათქმელიც ბევრი გექნებათ... სკოლა, ბავშვები და თქვენ...

- გმადლობთ დაფასებისათვის, მაგრამ ეს ხმამაღლა ნათქვამია. სალაპარაკო კი ნამდვილად ბევრია... სკოლა ჩემი მეორე კი არა, პირველი სახლია. ოჯახშიც სკოლის საქმეებით ვარ დაკავებული. განტვირთვისთვის შეკრებილი კოლეგები (ერთ-ერთი ჩემი ქალიშვილიცაა) ისევ მოსწავლეებსა და სკოლაზე ვსაუბრობთ. ზუგდიდის მე-8 საჯარო სკოლაში (დირექტორი - ირმა ქობალია) დაწყებით კლასებში ვასწავლი სამ საბაზისო საგანს. ვარ წამყვანი მასწავლებელი. ჩვენი სკოლა მაღალი თანამშრომლობით, კულტურით გამოირჩევა. აქ სრულიად ახალბედა, 21 წლის ასაკში, დავინიშნე დაწყებითი კლასების ვაკანტურ პოზიციაზე, არადა, ფილოლოგი ვარ. პატარების სითბომ და სიყვარულმა მომნუსხა. არდადეგებზეც მათით ვიკრებ ძალებს, ვხსნი საქაღალდეს, ვათვალიერებ მათ ნაწერებს და ნახატებს, სიამოვნებით ვკითხულობ მოწერილ წერილებს, რომლებშიც დედას მადარებენ, ლამაზად წარმომაჩენენ და მეფერებიან... საოცარი ადამიანები არიან პატარები. განსაკუთრებული ჯილდო ჩემთვის პატარა გოგო-ბიჭების სიყვარულით გაბრწყინებული თვალები, მშობლების მადლიერება და კოლეგების დაფასებაა... შემცვლელი მასწავლებელი ჩემს კლასში რომ შედის გაკვეთილების ჩასატარებლად, გამოსული აღფრთოვანებას ვერ მალავს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამო, ეს დიდ სიხარულს მანიჭებს და მადლიერებით ვივსები.

- რა შეგიძლიათ ურჩიოთ ახალბედა პედაგოგებს, გამოცდილების საგანძურიდან უპირატესი რაა, რომელიც უთუოდ უნდა გაუზიაროთ მათ?

- არ მიყვარს რჩევების მიცემა და არამკითხე მოამბეობა, მაგრამ ახალბედა პედაგოგებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ გამოცდილი კოლეგებისაგან. ახალდანიშნული პედაგოგი რომ ხდება კათედრის წევრი, კათედრის სხდომაზე გავაცნობდი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, სასკოლო ბადეს, სახელმძღვანელოებს, რომლებითაც მოუწევს მოსწავლეების სწავლება... გავაცნობდი ამ წიგნებით სწავლების პრინციპებს, სკოლის საგნობრივ გეგმებს, ე. წ. კურიკულუმებს. ვურჩევდი, კეთილსინდისიერად მოეკიდონ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, მუდმივად იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე, მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, გაიაზრონ, რა უნდა ასწავლონ და როგორ... სწავლებისას გაითვალისწინონ მოსწავლის შესაძლებლობები და ინდივიდუალური თავისებურებები; განმავითარებელი უკუკავშირით წაახალისონ მოსწავლე და უზრუნველყონ მისი სწავლის პროგრესი; ჩართონ მოსწავლეები გაკვეთილის, პროექტის თუ ღონისძიების დაგეგმვაში, მისცენ მათ არჩევანის საშუალება, დაესწრონ გამოცდილ პედაგოგებს გაკვეთილებზე, გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები; თითოეული მოსწავლის მიმართ იყვნენ გულისხმიერი, ჰუმანური და სამართლიანი; ითანამშრომლონ მოსწავლეთა მშობლებთან და სხვა. ეს ყველაფერი მიიღწევა ყოველდღიური რუტინული შრომით. ვინც სხვას ასწავლის, თავადაც უნდა სწავლობდეს.

- არაერთ ლიტერატურულ გამოცემაში იბეჭდება თქვენი ლექსები. როცა მათ თქვენი მოსწავლეები, მათი მშობლები კითხულობენ...

- ჩემს მოსწავლეებს და მათ მშობლებს მოსწონთ, რომ ვწერ. ისინი გამოთქვამენ აზრს ჩემი ლექსების შესახებ, ხანაც ზეპირად სწავლობენ და გამოთქმით უკითხავენ ჩემთან შესახვედრად მოწვეულ საზოგადოებას. დიდად მახარებს, რომ ჩემი გზავნილი სწორად მიდის მკითხველამდე. რისთვისაც ვცხოვრობ და ვირჯები სკოლაში თუ სკოლის გარეთ, ეს სამშობლოს სიყვარულია. პატარაობიდანვე ვასწავლი მოსწავლეებს ყოველივე მშობლიურის სიყვარულს და ამაში ჩემი ლექსებიც მეხმარება. სიამოვნებით ვიხსენებ ჩვენი სკოლის ლიტერატურული სალონის და ზუგდიდის მე-2 საქალაქო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს. რუხის საჯარო სკოლის მესამეკლასელებთან შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ჯეირან-ჯანოს ლექსები“, ზეპირად უსწავლიათ და გამოთქმით და საინტერესოდ წაიკითხეს, იქვე ამ ლექსების შთაბეჭდილებით შექმნილი ნახატები ჰქონდათ გამოფენილი. ადგილზევე ისწავლეს კიდურწერილობის არსი და ერთობლივად დავწერეთ ლექსი მათ საყვარელ ნატო მასწავლებელზე.

- პოეზია სულის საგალობელია და... როგორ მიგაქვთ იგი მოსწავლეებამდე?

- პოეზია სულის მდგომარეობაა. ის აუცილებელია სირთულეების დასაძლევად, ცხოვრების გასაგრძელებლად... როცა მიჭირს ან მილხინს, მაშინ მომაგონდება, მაშინ მიდგას გვერდით თანამოაზრედ, საიმედო მეგობრად ესა თუ ის პოეტი თავისი პოეზიით. როგორ მიმაქვს სულის უმშვენიერესი საგალობლები მოსწავლეებთან? თავად ვუკითხავ, ვავლებთ პარალელს ნასწავლ ტექსტებთან, ვასმენინებ საუკეთესო დეკლამატორთა წაკითხულს... „ვაიძულებ“, შეიგრძნონ მისი ესთეტიზმი, ვუტოვებ ლექსთა კრებულებს, რომ ამოირჩიონ სასურველი ლექსი, ისწავლონ და წაიკითხონ გამოთქმით. ვასწავლი კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს, წარმოსახვით შეხვედრებს ვმართავთ საყვარელ პოეტებთან. მოსწავლეებმა იციან, რომ მოვუსმენთ და

> **„მოსწავლეებს არ სჭირდებათ დაღლილი, „წერასატანილი“ და გამოცდებით სტატუსის ამაღლებასა და შემდგომ მის შენარჩუნებაზე მოფიქრალი, მუქარის ქვეშ მომუშავე მასწავლებელი...**

რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ მათ ნაშრომს... ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, სულსა და გულის დებენ ამ საქმეში... ასე თანდათან იხვეწებიან და იყვარებენ... ასე იქცევა პოეზია ახალგაზრდების „სულის პურად“.

- ციფრულ დროში ცხოვრება არა მარტო ტექნიკურ, არამედ მენტალურ გადაწყობასაც ითხოვს და ეს, უპირველესად, სკოლაში მიმდინარეობს, ესე იგი, თქვენ თვალწინ, თქვენი ჩართულობით. როგორია ეს პროცესი?

- პირველი კლასიდანვე ეუფლებიან პატარები კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. სწავლის დაწყების პირველ დღესვე ხვდებათ მერხებზე დალაგებული კომპიუტერები და სახელმძღვანელოები... უფრო მეტიც, ბევრი რამ უკვე იციან. ძალიან მცირე ასაკიდან კომპიუტერული თამაშებით და მულტფილმებით გართობის უფლებას აძლევენ მშობლები. პანდემიის დროს რომ არა ციფრული ტექნოლოგიები, როგორღა ჩავატარებდით ონლაინგაკვეთილებს? როგორ გავუგზავნიდით დავალებებს და მათზე უკუკავშირს?! მშობლები ხშირად აღნიშნავენ, რომ სწავლაზე მეტ დროს მათი შვილები კომპიუტერულ თამაშებს უთმობენ, მასწავლებლები კი მშობლებთან შეთანხმებით ვუქმნით მოტივაციას, რომ კლასგარეშე ლიტერატურის კითხვით, სპორტულ წრეებში ვარჯიშით, სხვადასხვა პროექტში ჩართვით დაკავდნენ და კომპიუტერული ტექნოლოგიები მეტწილად სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენონ.

- ძეგლი ცოცხალი წინაპარია, მათი დაფასება და მოვლა კი ჩვენი მომავლის ნიშანსვეტი. როგორ აზიარებთ თქვენს მოსწავლეებს მათ სიყვარულს?

- მოსწავლეებს ვუყვები სახელოვან ადამიანებზე, ხაზს ვუსვამ სამშობლოსა და ხალხის წინაშე მათ დამსახურებას, ვასწავლი მათ შესახებ დაწერილ ტექსტებს, ერთობლივად ვუყურებთ მათზე გადაღებულ ვიდეოებს თუ კინოფილმებს. „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია (ილია)“. ასეა... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ილიას, აკაკის და იაკობის ერთობლივი ფოტო მაქვს კლასში. იციან ბავშვებმა, როგორ მოაბრუნეს მათ ქართული ცნობიერებისკენ თითქმის გარუსებული საზოგადოება. იციან იაკობის შექმნილი წიგნების სიდიადის შესახებ. „დედა ენა“ ერის ბურჯია და მას ამ დამსახურებას ვერავინ წაართმევს. ბავშვებს ხშირად ვუჩვენებ „დედა ენის“ პირველ - 1876 წლის გამოშვებას, რომელიც ჩემი ქართულის მასწავლებელ თამარ შერაზადაშვილის ნებართვით სკოლაში ბავშვების მიერ შეგროვებული მაკულატურიდან ავიღე. ამით რისი თქმა მინდა? იაკობის „დედა ენა“ ჰქონდა ვიღაცას ჩემს სოფელში და არ იცოდა იმ ოჯახმა მისი ფასი, იმ წინაპრის ფასი, ვისგანაც ეს საგანძური ერგო, ეს ცუდია... უნდა იცოდეს მოზარდმა, „ვისი გორისაა“, რომელი ქვეყნის, რა ფასეულობების მატარებელი ერის შვილია... ამის სწავლა კი ოჯახიდან, პირადი მაგალითით იწყება და სკოლაში გრძელდება. ქების სიგელებით, დიპლომებით დასაჯილდოებლად მოსწავლეები მიმყავს იაკობ გოგებაშვილის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბიუსტებთან, რომლებსაც ყვავილებით ამკობენ. ვსაუბრობთ მათ დამსახურებაზე ერის გამოღვიძების საქმეში, მამულიშვილობასა და თავგანწირვაზე.

- თქვენი აზრით, ვინ არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოს სულიერ მისიას წარმოაჩენდნენ, როგორია თქვენი დამოკიდებულება მათდამი?

- ვსულდგმულობ ნამდვილი მამულიშვილებით, უკიდურესი შეჭირვებისას რომ გვევლინებოდნენ მხსნელებად, მკვდრეთით აღადგენდნენ ჩვენს მამულს, არ უშინდებოდნენ სიკვდილს, მეიმედება წმინდანები, თოვლივით სპეტაკები... გადარჩენისთვის ბრძოლაა დღეს დღის წესრიგში. „მილევადი ერიაო“, ქირქილებს ეშმა, ქართველები კი გარბიან საქართველოდან, უცხოელები მოდიან, მკვიდრდებიან და მრავლდებიან... დღე არ გავა, ვინმეს საზღვარგარეთ გამგზავრების ამბავი არ გავიგო... ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ რომ ხდება და ვერაფერს ვაკეთებ, გულმოკლული ლექსებს ვეფარები და ვაფარებ ჩემებრ შეცბუნებულებსაც. ვოცნებობ სასწაულებზე, გადარჩენასა და გაბრწყინებაზე. „მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები თალხით მოსილი ჭირისუფალივით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ: „მოუარეთ საქართველოს“.

- თქვენი მოსწავლეები როგორი წიგნების კითხვას ამჯობინებენ - ბეჭდურს თუ ელექტრონულს?

- ისინი ელექტრონულს ბეჭდურს ამჯობინებენ. მთავარია, კითხვისთვის საჭიროო დრო კომპიუტერულ თამაშებს არ დაუთმონ. წიგნიერების დონის ასამაღლებლად ვარჩევ მათთვის შესაფერის მრავალფეროვან ლიტერატურას. ვქმნით პატარა საკლასო ბიბლიოთეკას, ბავშვებსაც მოაქვთ ხოლმე წიგნები და თანდათანობით ივსება ჩვენი თაროები. თავად ირჩევენ მოსწავლეები წიგნებს, ინტერესდებიან წაკითხულით, ერთმანეთს უყვებიან წაკითხულის შესახებ... ხშირად უცვლიან წიგნებს ერთმანეთს... შესაბამისი განმავითარებელი კომენტარები წინსვლაში ეხმარება მათ. ჩემთვისაც და, საერთოდაც, წიგნი შეუცვლელია. მსიამოვნებს, როცა თაროებზე ჩაწიკწიკებულს ვხედავ, თითქოს თავისკენ მიწვევენ და ფიქრებს აღმიძრავენ... მამშვიდებენ, მაფორიაქებენ, მაბედნიერებენ... ხშირად დამყავს მოსწავლეები ქალაქის ბიბლიოთეკებში, სადაც მათ აძლევენ წიგნის არჩევის საშუალებას და უქმნიან კითხვისთვის საჭირო გარემოს.

- თქვენ რომ განათლების მინისტრი იყოთ...

- არათუ განათლების მინისტრად ყოფნაზე, სკოლის დირექტორობაზეც არ მიოცნებია არასდროს. მინდოდა, ბავშვებთან ვყოფილიყავი, მათი სიყვარული მომეპოვებინა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მეზრუნა... ისე, ხშირად მიფიქრია, ნეტავ მინისტრის მრჩეველი ვიყო-მეთქი... სკოლაში მომუშავე პედაგოგმა იცის, რა სჭირდება მის მოსწავლეს და სასკოლო საზოგადოებას განვითარებისთვის. როგორც მაშინ, ახლაც ჩემი მიზანია, დიდ დროს ვატარებდე ბავშვებთან, მოსწავლეებს არ სჭირდებათ დაღლილი, „წერასატანილი“ და გამოცდებით სტატუსის ამაღლებასა და შემდგომ მის შენარჩუნებაზე მოფიქრალი, მუქარის ქვეშ მომუშავე მასწავლებელი. სკოლა განათლების სამჭედლოა და მასწავლებელმა უნდა იცოდეს თავისი საქმე... სწავლება საკმარისია, იყოს 11-წლიანი - რისთვისაც შეიქმნა მე-12 კლასი, მიზანს ვერ ამართლებს. მომეტებული ტრენინგ-სემინარების ნაცვლად იმავე შინაარსის ლიტერატურას და სხვადასხვა რესურსს მივაწვდიდი სკოლებს. უკვე სამჯერ ჩატარდა საერთაშორისო კვლევა წიგნიერების დონის დასადგენად და ყოველ ჯერზე მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა შედეგები. ქართველი ბავშვების წიგნიერების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებელს, გაგება-გაზრების დონეზე კი დამოკიდებულია მოსწავლის მიღწევები სხვადასხვა საგანში... მასწავლებლის მუშაობას შეევფასებდი მოსწავლის სწავლა-აღზრდაში მიღწეული შედეგებით, სამომავლოდ კი უმთავრესი უმაღლეს სასწავლებლებში ძლიერი კადრების აღზრდაა. მეტს ვიმუშავებდი ამ მიმართულებით.

- როგორ და რა ფორმითაა უმჯობესი რწმენის გაღვივება მოსწავლეებში?

- რწმენა მომავლის იმედია, მჯერა ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების. უფალი ჩემშია და ყველგან თან დამყვება, მაიმედებს, მამხნევებს, მამშვიდებს, თანამიგრძნობს... სკოლაში გაუქმდა რელიგიის სწავლება, თუმცა რელიგიური საკითხები სხვადასხვა საგანში ისწავლება, მათ შორის, ისტორიაში არის გათვალისწინებული უფრო ჩაღრმავებულად ისწავლებოდეს. მივცეთ მოსწავლეებს ნასწავლის გააზრების და თვითგამორკვევის საშუალება, მით უმეტეს, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება.

- თვისება, რაც ყველაზე მეტად ამშვენებს ადამიანს და რომელსაც ცდილობთ, განავითაროთ მოსწავლეებში?

- ძალიან მინდა, ჩემი მოსწავლეები იყვნენ სამართლიანები, გულწრფელები, ჰქონდეთ ემპათიური უნარები. ბულინგის თემას რამდენიმე გაკვეთილს და კლასის საათსაც ვუძღვნით. მოსწავლეები პერსონაჟის პოზიციიდან გადმოსცემენ ამბავს, ვუყურებთ ამ თემაზე შექმნილ ფილმებს, განვიხილავთ სიტუაციურ ამოცანებს. ჩემს მოსწავლეებს ძალიან უყვართ „ცხელი სკამი“ და „მკითხველთა თეატრი“, რომლებიც ტექსტის გასააზრებელი ეფექტური მეთოდებია. სკოლაში ტარდება ბულინგის საპრევენციო ღონისძიებები. მანდატურებიც ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

- დაბოლოს, ფრაზა, რომლითაც დაასრულებთ ინტერვიუს.

- ჩემი საყვარელი ფრაზაა: „ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიზრუნოთ მათზე, ვინც მოვიშინაურეთ“ („პატარა უფლისწული“).

სასწავლო წელი დაიწყო

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

დღეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2022-2023 სასწავლო წელი დაიწყო. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, «აჭარა» ქედის, შუახევის და ხულოს რესურსცენტრების უფროსებსა და მოვალეობის შემსრულებლებს ესაუბრა

დურმიშხან შავიშვილი, ქედის რესურსცენტრის უფროსი

ქედის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია ჩართული სასწავლო პროცესში - 29 საჯარო სკოლასა და მათ ფილიალებში წელს 2020 მოსწავლე ისწავლის. განათლების სისტემაში 800-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული, მათგან 600-მდე პედაგოგია. თითქმის ყველა სკოლა უზრუნველყოფილია პედაგოგიური კადრებით.

თანდათანობით დაიძლია უცხო ენების, მათემატიკის მასწავლებელთა დეფიციტი. გასულ სასწავლო წელთან შედარებით, მომატებულია პირველკლასელთა რაოდენობა. ამჯერად 167 პირველკლასელი გვყავს. მე-12 კლასს 150-მდე მოსწავლე ამთავრებს.

ნორმალური მატერიალური ბაზა აქვთ მერისის, ვაიოს, დაბა ქედის, ახოს №1, ცხმორისის, წონიარისის, ოქტომბრის, პირველი მაისის, მახუნცეთის, უჩხითის, დანდალოს, ხარაულას საჯარო სკოლებს. დამამთავრებელ ეტაპზეა გეგელიძეების საჯარო

სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოები.

სკოლების ერთი ნაწილი საქვაბეებით თბება. ყველგან რემონტი ჩაუტარდა გათბობის სისტემას, იქ, სადაც შეშით თბებიან, შეშის შემოტანა მიმდინარეობს.

ედუარდ გოგრაჭაძე, შუახევის რესურსცენტრის უფროსი

43 საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლაში დღეს მერხებს 1469 მოსწავლე მიუჯდა, მათგან 115 პირველკლასელია და 157 მეთორმეტე კლასს დაამთავრებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გასულ წლებთან შედარებით, საგრძნობლად იკლო პირველკლასელთა რაოდენობამ.

სკოლებში 1038 ადამიანია დასაქმებული, მათგან 735 პედაგოგია. გასულ სასწავლო წლებთან შედარებით გაიზარდა მენტორი, უფროსი და წამყვანი მასწავლებლების რაოდენობა. უკვე ტაკიძეების, ქიძინიძეების საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სკოლებში თითო-თითო მენტორი მასწავლებელია, მათგან ქიძინიძეებელი რომან აბაშიძე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორია. უფროს მასწავლებელთა რაოდენობა

400-ს უტოლდება, ხოლო წამყვანის წოდებას 70 პედაგოგი ატარებს.

250-მდე მაძიებელი მასწავლებელი ისევ სკოლაში რჩება - კონკურსში მონაწილეობის მსურველები ძალიან ცოტა აღმოჩნდა.

დამამთავრებელ ეტაპზეა დაბა შუახევის საჯარო სკოლის მშენებლობა, შეკეთდა სხეფის, ბარათაულის, ჭვანის, ტაკიძეების, შუბნის, ცხემლისის, გომარდულის საჯარო სკოლის შენობები.

გასულ სასწავლო წელს, მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, დახურვის ზღვარზე იყო გოგაძეების საჯარო სკოლა. წელს აქაც გვყავს მოსწავლეები. მოსწავლეთა სიმცირეს არ უჩივიან ნიგაზეულის, ფურტიოს, ბუთურაულის, ჭვანის, ხიჭაურის, ბარათაულის, ხაბელაშვილების სკოლებში.

გენადი აბაშიძე, რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს მთიან მუნიციპალიტეტებს შორის ხულო ისევ რჩება იმ ადმინისტრაციულ ერთეულად, სადაც შობადობა სიკვდილიანობის მაჩვენებელს სჭარბობს, რაც მოსწავლეთა კონტინგენტის სიჭარბეზეც დადებით გავლენას ახდენს. ღორჯომის, მეკეიძეების, დაბა ხულოს, ბეღლეთის, სხალთის, დიდაჭარის, ვერნების სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი საკმაოა.

წელს სკოლებში 920-ზე მეტი პე-

დაგოგი იმუშავებს. მათგან 2 მენტორი, 61 წამყვანი და 519 უფროსი მასწავლებელია. 340-მდე პედაგოგი ისევ იბრძოლებს უფროსი მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად.

სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელი ზარი განახლების საჯარო სკოლის ახალ შენობაში დაირეკება. აქ 25 პედაგოგი 45 მოსწავლის აღზრდას მოემსახურება.

მთავრდება ბეღლეთის საჯარო სკოლის მშენებლობა. ნორმალური მატერიალური ბაზა აქვთ ღორჯომის, დიდაჭარის, დიოკნისის, ხიხაძირის, სხალთის, კვატიის, ოქრუაშვილების სკოლებს.

დაწყებულია და მალე დასრულდება ხანძრისგან იავარქმნილი კალოთის საჯარო სკოლის მშენებლობა.

სიახლე – ახალგაზრდა შემოქმედთათვის

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

აჭარის რეგიონში ლიტერატურული კონკურსი - „პეგასი“ იწყება, რომლის იდეის ავტორი და ორგანიზატორია საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ნანა შაინიძე, თანაორგანიზატორი - რამაზ ხმალაძე. როგორც ნანა შაინიძემ გვითხრა: კონკურსი ხუთ ეტაპად ჩატარდება, რომლის ფარგლებშიც მონაწილენი წარმოადგენენ ადგილზე დაწერილ ნაწარმოებებს პროზასა და პოეზიაში.

პირველი ტური 22 სექტემბერს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდება, სადაც ტურიზმის სამსახურის მიერ მითითებულ ლოკაციაზე მონაწილეები ორგანიზატორებისგან მიიღებენ თემატურ დავალებებს. ნაწარმოების დაწერისთვის კონკურსანტებს ეძლევათ სამი საათი.

მეორე ტური ჩატარდება 24 სექტემბერს, შუახევის მუნიციპალიტეტში, სადაც კონკურსანტები წარმოადგენენ პირველ ტურში დაწერილ ნაწარმოებებს. იმავე დღეს კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაში მეც ვარ, შეარჩევს მომდევნო ტურში გამსვლელ ავტორებს.

მესამე ტური 26 სექტემბერს ქედის მუნიციპალიტეტში გაიმართება, სადაც შუახევში შერჩეული კონკურსანტები მიიღებენ მონაწილეობას.

მეოთხე ტური 28 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გაიმართება, შუახევში გამართული ეტაპის პრინციპით და აქ უკვე ჟიური ფინალისტებს გამოავლენს...

30 სექტემბერს საუკეთესო ათეულში გასულები, გაემგზავრებიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახელას ხეობაში. ამავე ათეულში შევლენ გამარჯვებულები, რომლებიც ,,პეგასი 2022" -ს და ხუთ ნომინაციას გადაინაწილებენ. ესენია: პატრიოტული, დიალექტური, რომანტიკული, კრეატიული და კლასიკური.

გამარჯვებულთა დაჯილდოებაც აქვე გაიმართება.

გამარჯვებულებისთვის დაწესებულია ფასიანი საჩუქრები და ფულადი ჯილდოები:

„პეგასი 2022“-ს გადაეცემა 500 ლარი, ყველა ნომინანტს კი 200 ლარი.

მხარდამჭერებს და კერძო პირებს ეყოლებათ თავიანთი რჩეულები, რომლებსაც საჩუქრებს გადასცემენ. ფულადი ჯილდოები შპს „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ დააწესა.

პროექტის მიზანია დამწყები შემოქმედების გამოვლენა და მათ შესახებ ცნობადობის გაზრდა. ასევე, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ხუთივე მუნიციპალიტეტში.

ფინალისტებისთვის გამოიცემა ბროშურა „პეგასი 2022“, რომელშიც შევიტანთ მათ მიერ შექმნილ ნაწარმოებებს.

პროექტის მხარდამჭერები არიან: აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის მწერალთა სახლი, ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მერიები, შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“, შპს „ოქროს არწივის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი სოფიო ლორთქიფანიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია - „მეხუთე სტიქია“. მუნიციპალიტეტებში თანადგომას გვიწევენ: ლია შაქარიშვილი, გურანდა დოლიძე, ნარგიზ ცივნარიძე, ირმა ქოქოლაძე, ვახტანგ გოგრაჭაძე, რამაზ ხმალაძე. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია გაგრძელდება 16 სექტემბრის ჩათვლით, ასაკი განისაზღვრა 16-დან 28 წლამდე. ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“ პირველად, 2019 წელს, ხულოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა. წელს იგი მეოთხედ იმართება.

ღომაზე სპორტული მოედანი კეთდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მთა ღომა შუახევის რაიონულ ცენტრთან ყველაზე ახლოსაა. ნახევარი საათიც არაა საჭირო, რომ 2200 მეტრის სიმაღლეზე ახვიდე და შენს თვალწინ გადაშლილი მშვენიერი ხედები იხილო. მოსახლეობა წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი საავტომობილო გზის გამო საყვედურს გამოთქვამდა. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ეს პრობლემა თანდათანობით იძლევა. უკვე მიმდინარეობს და გაისადაც გაგრძელდება შუახევი-ღომას გზაზე ასფალტისა და ბეტონის საფარის დაგება. წელს შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 94 ათასი ლარია მობილიზებული მთა ღომაზე მინი-სპორტული მოედნის მოსაწყობად. კონკურსში გამარჯვებული შპს «ზურა 2012» უკვე შეუდგა სამუშაოებს. დაზამთრებამდე ტერიტორიას მოასწორებენ, სხვა სამუშაოები მომავალი წლის ივნისის ბოლომდე დასრულდება.

- 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, უჩამბელებმა მთხოვეს მთა ღომაზე ინფრასტრუქტურული

ობიექტების მშენებლობაზე მეზრუნა. მათი თხოვნის პასუხად, რიგი სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით უკვე მიმდინარეობს. მინი-სტადიონის მშენებლობის სამუშაოები საკრებულოს კომისიის თავმჯდომარესთან ზაზა დავითაძესთან, მალხაზ ტაკიძესთან, ედნარ კეჟერაძესა და თენგიზ ივანაძესთან ერთად მოვინახულე, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ.

სტადიონის მშენებლობასთან ერთად, დამამთავრებელ ეტაპზეა მთა ღომაზე ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება.

„აგვისტოს ბოლო 2 კვირაში სამომხმარებლო სესხების გაცემა ორჯერ შემცირდა“

ამის შესახებ საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ძნელაძემ რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა, რაც 16 აგვისტოდან არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადიანობის 4-იდან 3 წლამდე შემცირებით ახსნა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იქნება ძალაში

„სამომხმარებლო სესხებზე საკმაოდ მკაცრი გადაწყვეტილება იყო, რაც შეეხო ძალიან ბევრ როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალ მსესხებლებსაც. 15 აგვისტომდე საკმაოდ მაღალი იყო მოთხოვნა აღნიშნულ სესხებზე, მაგრამ საკმაოდ მოკლე ვადა იყო დარჩენილი. გადაწყვეტილება 16 აგვისტოს რომ შევიდა ძალაში, ძველი გადაწყვეტილებების აღსრულებაც გრძელვადიანობაზე არ შეიძლებოდა და არსებული სესხების რეფინანსირებაც 3 წელზე გადაიანგარიშება უკვე. აქედან გამომდინარე, საკმაოდ მტკივნეული იყო აღნიშნული გადაწყვეტილება სამომხმარებლო სესხების მომხმარებლებისთვის... ბოლო 5 დღის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტივობა, რადგან მოლოდინი იყო, რომ შემდგომში შეიძლება ვეღარ აეღოთ კრედიტი 4 წლის ვადით. ამიტომ აქ უფრო მნიშვნელოვანია ვისაუბროთ აგვისტოს ბოლო და სექტემბრის დასაწყისში უარის რაოდენობაზე.

შემიძლია ვთქვა, რომ დამტკიცებული სესხების რაოდენობა აგვისტოს ბოლო 2 კვირაში ორჯერ უფრო ნაკლები იყო სამომხმარებლო სესხებსა და განვადებებზე, ვიდრე წინა პერიოდში, მაგრამ ეს არ არის საერთო მაჩვენებელი. წლის ბოლომდე ეს ამ მდგომარეობით არ გაგრძელდება. მომხმარებელი შეიძენს ჩვევას, რომ თვითონ გადაითვალოს 3 წელზე ეკუთვნის თუ არა რაღაც კონკრეტული თანხა, თვითონვე დააკორექტირებენ ამ თანხას და ასე მოითხოვენ“, - აღნიშნა საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელმა.

ამირან გურიელიძე

მტირალას ეროვნულ პარკში სამშენებლო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

მტირალას ეროვნულ პარკში ეკოტურისტული კოტეჯების, აჭარული ღვინის სახლისა და კაფეტერიის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, წელს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტიორთა მნიშვნელოვანი ზრდაა, კერძოდ, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 80%-ით მეტია ვიზიტიორების რაოდენობა.

შარშან დაიწყო 1000 კმ სიგრძის ბილიკების ქსელის მოწყობა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 30 მლნ ლარზე მეტია გამოყოფილი.

- მტირალას ეროვნულ პარკში, ასევე, ხორციელდება ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი - მტირალას ეროვნული პარკი უკავშირდება კინტრიშის დაცულ ტერიტორიას. ამ პროექტისთვის დაახლოებით 7 მლნ ლარია გათვალისწინებული, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

უწყების ინფორმაციით, 2023 წელს დასრულდება მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის პროექტირებისა და მოწყობის სამუშაოები თანმდევი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურით: თავშესაფრებით, ფანჩატურებით, საცეცხლურებით, ხიდებით, გადასახედებით და სხვ.

მტირალას ეროვნული პარკი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დაცული ტერიტორიაა ვიზიტიორთა სიმრავლით. პარკმა 2022 წელს 7 თვის განმავლობაში უმასპინძლა 41 ათასზე მეტ ვიზიტიორს.

პარკი ქობულეთი-ჩაქვის ქედზე, შავი ზღვის სიახლოვეს მდებარეობს. მისი საერთო ფართობი 15,7 ათას ჰექტარს შეადგენს. მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებს შორისაა მოქცეული.

გამოირჩევა უნიკალური ბიომრავალფეროვნებით. მტირალას მთა ზღვის დონიდან 1761 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მთელი წლის განმავლობაში მთა ნისლშია გახვეული და აქ გამუდმებით წვიმს. მთის მიკროკლიმატი ყველაზე ნესტიანია მთელ საქართველოში და, ასევე, ევროპაში. წელიწადში აქ 4500 მილიმეტრი ნალექი მოდის.

მტირალას პარკში 284 სახეობის მცენარე ხარობს. აქ თავმოყრილია იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი, რელიქტური და ენდემური მცენარეები. ტერიტორიას განსაკუთრებულ ორიგინალურობას ორი სახეობა - მარადმწვანე უნგერნის შქერი და ეპიგეა მატებს, რომლებიც მხოლოდ აჭარასა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორიებზეა გავრცელებული. პარკის ფაუნა მრავალფეროვანია - აქ 95 სახეობის ცხოველი ბინადრობს. მათგან 23 საქართველოს „წითელ ნუსხაშია“, ცხრა კი გლობალური გადაშენების პირასაა და „წითელ წიგნშია“ შეტანილი.

ფორუმი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც კენკრის მწარმოებელი ქვეყნის პოზიციის გაძლიერებას

ბათუმი კენკროვანი კულტურების საერთაშორისო ფორუმს მასპინძლობს, რომლის ორგანიზატორია USAID-ი (სოფლის მეურნეობის პროგრამა) „თიბისისთან“ პარტნიორობით

ფორუმი დარგის სპეციალისტებს და ექსპერტებს შეკრებისა და გამოწვევების განხილვის საშუალებას აძლევს, რაც ხელს შეუწყობს კენკრის ადგილობრივი ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და საქართველოს, როგორც კენკრის მწარმოებელი ქვეყნის პოზიციის გაძლიერებას. ფორუმის მონაწილე ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები (სერბეთიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან, პოლონეთიდან) ადგილობრივ ფერმერებს უზიარებენ მოცვისა და სხვა კენკროვანი კულტურების გაშენება-მოვლასთან დაკავშირებულ გამოცდილებას, აცნობენ თანამედროვე აგროტექნოლოგიებს. ფორუმზე იმსჯელებენ კენკროვანი კულტურების მწარმოებელთა წინაშე მდგარ პრობლემებზე და კენკრის ექსპორტის შესაძლებლობებზე, განიხილავენ იმ მარკეტინგულ ინსტრუმენტებსაც, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კენკროვანი კულტურების სექტორის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. ფორუმის მონაწილეები გაეცნობიან კენკროვანი კულტურის დაფინანსების საუკეთესო მექანიზმებს, მიიღებენ ინფორმაციას საუკეთესო პრაქტიკებსა და მხარდაჭერაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბოლო ორი წელია აქტიურად მიმდინარეობს მოცვის ბაღების გაშენება. რეგიონში ეს კულტურა უკვე 150 ჰექტარზეა გაშენებული. მაღალია ფერმერების დაინტერესებაც და შესაბამისად, მის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს. საქართველოში მოყვანილი მოცვი უკვე იყიდება მსოფლიო ბაზარზე და

ქვეყანას საშუალება აქვს მიაწოდოს ევროპასაც, თუკი იქ დეფიციტი შეიქმნება. მოცვის კულტურის განვითარებისთვის მოქმედებს არაერთი სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამა. ფორუმზე ასევე ისაუბრებენ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ ფერმერები.

ფორუმში მონაწილეობენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციები და კენკრის მწარმოებლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

ანკა ჩხიკვაძე

ვაუჩერები – სასკოლო ნივთებისთვის

მოწყვლად ჯგუფებს, ბათუმის მერიისა და „წითელი ჯვრის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სასკოლო ნივთებისთვის ვაუჩერები გადაეცათ

პროექტი „გაძლიერებული ადგილობრივი თემები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის ბათუმში“ მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას.

პროექტის ფარგლებში, ვაუჩერები გადაეცა დედმამით ობოლ ბავშვებსა და სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც 5 და 6 არასრულწლოვანი შვილი ჰყავთ.

ამირან გურიელიძე

რა პროგრამებს გეგმავს 2023 წლიდან აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო?

მე-2 გვერდიდან

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტების განხილვისას ითქვა, რომ სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად 36 პროგრამას განახორციელებს. ასევე, მოქალაქეთა მომართვიანობისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, გაგრძელდება მიმდინარე წლის მოქმედი პროგრამები. დაგეგმილია რიგი ცვლილებებიც. ამოქმედდება ახალი პროგრამები, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით: გეგმის თანახმად, 3 900 000 ლარამდე გაიზრდება „ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების“ პროგრამის ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში პირველად დაფინანსდება თვალის ბადურის მძიმე მკურნალობა ახალი თაობის ანტიანგიოგენური პრეპარატებით; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პაციენტების სტაციონარული მომსახურება; ამავე პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ღვიძლის, ძვლის ტვინისა და გულის ტრანსპლანტაციების დაფინანსება. გაიზრდება ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის დასაფინანსებელი ბენეფიციარების რაოდენობა; იგეგმება იდიოპათიური მაანკილოზირებელი სპონდილიტით, ფსორიაზითა და ფსორიაზული ართრიტით დაავადებული პაციენტების ძვირად ღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით მკურნალობის დაფინანსების პროცენტული წილის გაზრდა; გაიზრდება გაფანტული სკლეროზით დაავადებული პაციენტების რაოდენობა. სოციალური მიმართულებით პირველად ამოქმედდება ახალი პროგრამა - ბავშვთა/მოზრდილთა ფსიქოსოციალური აბილიტაცია/რეაბილიტაცია და შშმ სტატუსის მქონე დედათა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება; მილიონ ლარამდე გაიზრდება ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების დაფინანსება.

ცვლილების თანახმად, დაგეგმილია რიგ პროგრამებში ბენეფიციარების და სეანსების რაოდენობის გაზრდა; ასევე გაიზრდება ზრდასრულთა დამხმარე საშუალების რაოდენობა და თავშესაფრის ბენეფიციართა დაფინანსება.

2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არასამთავრობო სექტორს, სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს წარედგინა. აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტი მიმდინარესთან შედარებით 8,9%-ით, კერძოდ, 2 827 205 ლარით გაიზრდება და 31 735 000 ლარი იქნება.

„მზად ვართ, საქართველო გადაიქცეს რეგიონულ მონაცემთა გაცვლის ჰაბად“

ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საერთაშორისო ციფრული კავშირის სამიტზე - მედიასთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, ამ თვალსაზრისით საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებით - დღევანდელი მოვლენების ფონზე - საქართველო როგორც სანდო დერეფანი, რომელიც უმოკლესი კავშირია ევროპასა და აზიას შორის, ბევრი ქვეყნისთვის აქტუალურია.

„ჩვენ განვიხილავთ შავი ზღვისქვეშა კავშირს, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ევროპა და აზია მონაცემთა გაცვლის კუთხით პირდაპირ დავაკავშიროთ ერთმანეთთან და, რა თქმა უნდა, საქართველოში, გარდა მონაცემთა გაცვლის სატრანზიტო ფუნქციისა, გაჩნდეს მონაცემთა ცენტრები. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობს - გვაქვს ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობა და, შესაბამისად, ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საქართველოს სანდოობა, ზოგადად, არის ძალიან მაღალი. ეს საშუალებას მოგვცემს, მოვიზიდოთ ინვესტიციები და საქართველოში შემოვიდნენ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა „ამაზონი“, „გუგლი“, „ეფლი“, სხვა მსხვილი კომპანიები და აქ მოეწყოს მონაცემთა ცენტრები, მოხდეს მონაცემთა გაცვლა რეგიონის მეზობელ ქვეყნებს შორის. ასევე საქართველოში იყოს ის კვანძი, რომელიც ინტერნეტკავშირს დაამყარებს აზიის სხვადასხვა ქვეყანასა და ევროპას შორის უმოკლესი კავშირის მეშვეობით“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

„საერთაშორისო ციფრული კავშირის სამიტი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომუნიკაციების კომისიისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით იმართება. მასში ევროპის, ცენტრალური აზიის, ჩინეთის და კავკასიის რეგიონის ქვეყნები მონაწილეობენ.

ამირან გურიელიძე

ციალა, ასლან ვარშანიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ნელი და დავით ჩხიკვაძეებს ძმისა და ცოლისძმის

ნოდარ ბეჟანიძის

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/09/22, 22 45 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

ნოდარ მაჭარაშვილი – ნიჭიერი მწერალი, რომელსაც ორი სტილის სინთეზი გამოარჩევს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ზაფხულში ბათუმში ბევრი რამ ხდება, ტარდება არაერთი ღონისძიება, ხშირად დღეში - რამდენიმე და ყველა მნიშვნელოვანი და საინტერესოა. შესაბამისად, ეს პერიოდი ძალიან დატვირთულია გაზეთისთვისაც. ამის გამო ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ყველა საინტერესო მასალის დროულად გამოქვეყნება. ღონისძიება, რომელზეც ახლა გესაუბრებით, აუცილებლად უნდა გაშუქებულიყო, თუნდაც დაგვიანებით

ელისო ბოლქვაძის მიერ ბათუმში გამართული, ტრადიციული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი წელს, ისევე როგორც სხვა წლებში, მრავალფეროვანი აღმოჩნდა. მისი ერთი დღე დაეთმო ახალგაზრდა მწერალ ნოდარ მაჭარაშვილის ბოლო დროს გამოცემული წიგნების წარდგენას, რომელიც სალონურად გაიმართა, თუმცა პოეტმა ვახტანგ ღლონტმა მას ასევე, კოვიდით ავადმყოფობის გამო, ტრადიციულად ვერ უმასპინძლა. შეხვედრა წაიყვანეს ფესტივალის რეჟისორმა შიო აბრახამიამ და ქეთი დუმბაძემ, რომელიც ნოდარ მაჭარაშვილის წიგნების რედაქტორი, გამომცემელი, ამავდროულად, მკაცრი კრიტიკოსი გახლავთ.

- ახალგაზრდა თაობაში მინელებული იყო ინტერესი ეროვნული ისტორიისადმი, მაგრამ ნოდარ მაჭარაშვილის შემთხვევაში გვაქვს ლიტერატურული და არალიტერატურული მიგნება ერეკლე მეორის შესახებ. „ავი მუსაიფი“ - სათაურიც კარგი მიგნებაა, წიგნს საინტერესოს ხდის. ორივე წიგნში - „ქეიფი სოლოლაკში“ და „ავი მუსაიფი“ სწორედ ისტორიული ფაქტებია აღწერილი. დღეს, ტექნოლოგიების ეპოქაში ნაკლებად აინტერესებთ ისტორია, მაგრამ ნოდარი ამ ყველაფერს გვაწვდის ძალიან მრავალფეროვანი განცდებით. ორივე წიგნი სავსეა მეგობრობით, სიყვარულით, თანადგომითა და... ღალატით, ძალიან ბევრი ფაქტით და ეს ყველაფერი ამ წიგნებს ამრავალფეროვნებს, - თქვა შიო აბრახამიამ.

ნოდარ მაჭარაშვილის თხრობის სტილი, რასაც ყველა - კრიტიკოსი თუ მკითხველი აღნიშნავს, გამოირჩევა ორიგინალურობით, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სადა და მარტივი, ყველასათვის გასაგები ენით წერას, მაგრამ ამავე დროს არასოდეს კარგავს აკადემიურობას. სწორედ ამ ორი სტილის სინთეზი გამოარჩევს მის შემოქმედებას და თავად ნოდარ მაჭარაშვილს.

როგორც რედაქტორმა ქეთი დუმბაძემ (და ალბათ ყველას კარგად მოგეხსნებათ, ის ნოდარ დუმბაძის შვილი და სალონის სტუმრის, ახალგაზრდა მწერლის დედა გახლავთ) საკუთარ თავზე თქვა, ის ძალიან მკაცრი რედაქტორია. დედა-შვილის კამათს ვინმე რომ შეესწროს, ვერაფრით დაიჯერებს, რომ ისინი ერთმანეთისთვის ასე ახლობელი ადამიანები არიან, თუმცა ბოლო დროს ნაკლებად კამათობენ, რადგან ნოდარი შემოქმედებითად თანდათან გაიზარდა. ხშირად, პირიქით, დედას, როგორც კრიტიკოსს, აღფრთოვანების მომენტებიც კი აქვს... ითქვა, როგორ დაიწერა მისი წიგნი „ქეიფი სოლოლაკში“ ბავშვობის მეგობარ, კინორეჟისორ თორნიკე ბზიავას თხოვნით. მას ფილმის გადაღება სურდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის არტილერიის გენერალ-მაიორზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელზე, 1921-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ კოტე აფხაზზე. ნოდარის სცენარმა კონკურსში გაიმარჯვა. დედამ მოისურვა მისი წიგნად გამოცემაც. ნოდარს სცენარის მოთხრობად გადაკეთებაზე დიდი დრო არ დასჭირვებია, რადგან მისი წერის მანერა სწორედ დიალოგია. ასე დაიბადა შესანიშნავი მოთხრობა კოტე აფხაზზე. საღამოს ნოდარ დუმბაძის გახსენების გარეშეც არ ჩაუვლია. მთავარი ის იყო, რომ ორივე ნოდარზე ყველა დიდი სიყვარულით საუბრობდა, ეს ერთგვარად, გენიალური ნოდარ დუმბაძის მოგონების საღამოც იყო და მის შესანიშნავ შვილიშვილთან შეხვედრაც.

- ნოდარი მუშაობისას კომპიუტერს არ იყენებს, ხელით წერს. ამიტომ სახლში ძალიან ბევრი ხელნაწერი ინახება. მთელი ცხოვრება ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი ვიყავი, ახლა კი მიხარია, რომ ნოდარის დედა ვარ. მამა მთელი ღამე წერდა, ხელნაწერს არასოდეს ინახავდა. მისი ხელნაწერი ნებისმიერს შეგვეძლო წაგვეკითხა. პირველად დედა კითხულობდა, მერე მანანა. ჩვენს შორის 10 წელია სხვაობა. მერე მეც წამოვეწიე და ისე გავთავხედდი, რომ თუ სადმე გამოტოვებული იყო წერტილ-მძიმე, ვასწორებდი. ერთხელ მდინარე ვერე ვერაზე გადავუსწორე და სულ კალმისტარი მიკაკუნა თავში. მამას სულ უცნაურად სუფთა ნაწერები ჰქონდა, იმიტომ, რომ ძალიან ბევრს ფიქრობდა, მერე ჯდებოდა და ორ-სამ თვეში რომანს ამთავრებდა. მამა ამ ამბებს გვიყვებოდა, ჩვენზე ამოწმებდა, დაგვაინტერესა თუ არა, ჩემი ნოდარიკო კი სულ სხვაგვარად წერს, - გვითხრა ქეთი დუმბაძემ.

- რამდენიმე სიტყვა დიდ ნოდარზე მინდა ვთქვა. მოვა დრო და ერი მიხვდება, რომ ჩვენ ვცხოვრობდით გენიალური მწერლის ეპოქაში. არასოდეს დამავიწყდება, როცა ჟურნალ „ცისკარში“ მისი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დაიბეჭდა, სამუშაოზე პრაქტიკულად არავინ არაფერს აკეთებდა, ყველა იჯდა და მას ხმამაღლა კითხულობდა... არ მგონია, რომ ამ დიდმა ნიჭმა შთამომავლებზე „დაისვენა“. „ავი მუსაიფი“ ბოლომდე ერთი ამოსუნთქვით ჩავამთავრე. ჩემზე დამანგრეველი შთაბეჭდილება დატოვა, ოღონდ კარგი გაგებით. ასე მგონია, თუ ვინმემ მეფე ერეკლეს, ჩვენგან გალანძღულს, ძალიან დიდი ტკივილის მატარებელს ძეგლი დაუდგა, ეს ნოდარ მაჭარაშვილია. მადლობა მას. ასეთი სიმართლე მეფე ერეკლეზე ასე სრულყოფილად, ასე არაჩვეულებრივად არავის დაუწერია. ვფიქრობ, ის აუცილებლად იქცევა დიდ რომანად და ღმერთმა ქნას, ფილმადაც გადაიქცეს. აქვე უნდა ვთქვა, რომ ნოდარს აქვს ერთი ძალინ კარგი თვისება - მისი ყველა ნაწარმოები არის ძალიან კინემატოგრაფიული. მიხარია, რომ ნოდარ მაჭარაშვილი არის თავისი ბაბუის ღირსეული შვილიშვილი, მისი ცხოვრების გამგრძელებელი და მჯერა, ის ძალიან ბევრს მიაღწევს, - განაცხადა კინორეჟისორმა ქეთი დოლიძემ.

- მიხარია, რომ ჩვენი სტუმარია ნოდარ დუმბაძის შვილიშვილი. ქეთის დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ ნოდარი ცოტა ხნის წინ გავიცანი. ადვილი არ არის ამხელა ბაბუის შვილიშვილობა, თავის დამკვიდრება, მაგრამ ის ამას ახერხებს. მე ზაურ ბოლქვაძის შვილი ვარ და არ შემიძლია, გვერდი ავუაროო ლიტერატურას, პოეზიას, რადგანაც ვისაც ქართული მწერლობა უყვარს, ის ქმნის ქართულ კულტურას. ამას მომავალი თაობა აუცილებლად გააგრძელებს, ჩვენ კი მათ ხელს შევუწყობთ, - გვითხრა ფესტივალის დამფუძნებელმა ელისო ბოლქვაძემ.

- ახალგაზრდა, ძალიან საინტერესო მწერალს შევხვდით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის დისკუსიები, რაც წიგნის პრეზენტაციას ახლავს, რაც კიდევ უფრო აახლოვებს მას მკითხველთან, ეს კი ორივე მხარისთვისაა მნიშვნელოვანი, - თქვა შეხვედრაზე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ნოდარ მაჭარაშვილი საუკეთესო მოსაუბრეცაა. მან საინტერესოდ გვიამბო თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე. წერა 23 წლისამ დაიწყო. ამბობს, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, სრულიად ახალგაზრდამ რომ გამოსცა წიგნი, რადგან ათი წლის შემდეგ აღარ მოეწონა. თუმცა ნიჭი იმ პირველ გამოცემაშიც კარგად ჩანდა. მოგვითხრო, თუ რატომ აირჩია ფსევდონიმად თორნიკე გურჯინთახი. მერე საკუთარი გვარის წარმოჩენის დროც მოვიდა. წიგნისთვის ისტორიული მასალების მოძიება დაიწყო მოსკოვის არქივებში, მაგრამ ყველაზე დიდ „არქივად“ ივანე ჯავახიშვილსა და მარიკა ლორთქიფანიძეს მიიჩნევს, რომელთა წიგნებს, მისი თქმით, აუცილებლად უნდა ჩაუჯდე და წაიკითხო, გააანალიზო. როგორც გვითხრა, ისტორიის ანი და ბანი მარიკა ლორთქიფანიძის ოჯახში ისწავლა... პარიზში მუშაობის დროს მიხვდა, რომ სერიოზული წიგნის გამოცემის დრო მოვიდა, 33 წლის გახდა და იფიქრა, ყველაფერი გამოუვიდოდა... გამოსცა კიდეც შესანიშნავი წიგნი „ავი მუსაიფი“, რომელიც თავის ისტორიის მასწავლებელ გიორგი ოთხმეზურს მიუძღვნა, რომელმაც შეაყვარა ისტორია, წიგნის გამოცემისთვის კი მადლობა გადაუხადა როგორც მასწავლებელს, ისე არველაძეების ფონდს. სხვათა შორის, ნოდარ მაჭარაშვილი სპეციალობით ეკონომისტია. ამბობს, რომ მისი პირველი ნაბიჯები მწერლობისკენ, უფრო სწორად, მისი სიყვარულისკენ ბაბუისგან დაიწყო, იმ საბავშვო ლექსებით, რომლებიც ჩვენ, ყველას ასე ძალიან გვიყვარს. მერე, რა თქმა უნდა, სხვა მწერლებმა მოახდინეს მასზე გავლენა, თუმცა ბაბუა მისთვის მუდამ ყოველთვის საამაყოა. ერთხელ მის სკამზე დაჯდა და დიდ ნოდარს რომ დაუნახავს, მოფერებით უთქვამს, ჯერ ადრეაო. თვლის, რომ მწერლობა თითქოს ადამიანის სხეულის უხილავი ნაწილია, ის ცალკეა, თან შენია. „სულ ვამბობ, ნამდვილი მწერლები ორსულები არიან. ეს ხელობა არ არის, ეს შენი ცხოვრებაა. როცა მოვა „ის მუზა“, რომ არ გამოუშვა, წარმოუდგენელია. ბაბუაც იტყოდა, როცა ნაწარმოებს დაასრულებდა, ვიმშობიარეო“, - გვითხრა ნოდარ მაჭარაშვილმა.

- რაც შეეხება კოტე აფხაზს, ერეკლე მეორეს... ასეთ წინაპრებს დაფასება უნდა. ხშირად გამიგია ერეკლე მეორეზე - ამ მსმელმა კახელმა რუსეთს მიჰყიდა საქართველოო. სიგიჟეა ამის თქმა, მას ყველაზე მეტი ომი აქვს გადახდილი, არცერთ ჩვენს მეფეს ამდენი არ უომია. ვიფიქრე, რომ ეს რაღაც ახალი, საჭირო სიტყვა იქნებოდა ქართული საზოგადოებისთვის, მინდოდა მკითხველისთვის უბრალოდ მიმეწოდებინა, თუ როგორი წინაპრები გვყავდა და მერე გადავწყვიტე, დამეწერა, რითაც ვამბობ, თუ რატომ არ შეიძლება ვიღაც სამზარეულოში გაზრდილმა „ვარდივით“ ბიჭებმა დავით აღმაშენებელი, საქართველოს პატრიარქი აგინონ. თუ ერს წარსული არ აინტერესებს, მომავალს ვერ შექმნის. საფრანგეთში პრეზერვატივზე ნაპოლეონს არავინ დაგახატინებს, ეს გამორიცხულია. ყველაფერი წინაპრებით იწყება. ეს ჩემში ღრმად არის ჩამჯდარი, მშობლებმა უნდა იმუშაონ ამაზე. შეიძლება ისტორიაში ღრმად ჩახედულმა ადამიანებმაც კი არ იციან კარგად, ვინ იყო კოტე აფხაზი. ის იყო ადამიანი, რომელიც ქვეყნისათვის ბრძოლის დროს არსად წასულა, გააგრძელა ბრძოლა, თუმცა არაერთხელ შესთავაზეს ქვეყნის დატოვება. მინდოდა ბევრს გაეგო მის შესახებ. მან ჯავახიშვილთან ერთად დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იყო საქართველოს პირველი პარლამენტის დამაარსებელი, ამისთვის საჭირო თანხაც მან იშოვა, ხელმძღვანელობდა რკინიგზის მშენებლობას, ჩამოაყალიბა ანტიკომუნისტური მოძრაობა. შესაძლოა, ამ წიგნში კოტე აფხაზის ცხოვრება სრულად არ არის გადმოცემული, მაგრამ ჩონჩხი, მისი 95 პროცენტი სიმართლეზეა აგებული. თუ ვინმეს აინტერესებს, ვინ იყო კოტე აფხაზი, აქ ნამდვილად გაიგებს. შემდეგი წიგნი - „მოსკოვი-თბილისი“ არის ჩემი მოსკოვში ცხოვრების დროინდელი ამბავი, თუ როგორ გართულდა ჩვენი ურთიერთობები 2008 წლის შემდეგ, როგორ ცხოვრობდნენ ქართველები იქ, როგორი სხვაობა იყო ჩემი მშობლების თაობასა და ჩვენს თაობას შორის. ეს ავტობიოგრაფიული რომანია და ისტორიასთან, თარიღებთან არავითარი კავშირი არ აქვს. ჩვენ იმდენი კარგი თანამედროვე მწერალი გვყავს, რომ ძალიან ძნელია, დაამტკიცო, რომ შენ კარგი ხარ, ამისთვის დიდი შრომაა საჭირო. დაჯდომის პროცესია რთული. სახლში ხუთი სხვადასხვა თაობის ადამიანი ვცხოვრობთ - ბებია 93 წლისაა, დედა - 61-ის, მამა - 66-ის, ძმისშვილი - 16-ის და ყველას საკუთარი მოთხოვნა აქვს... ამიტომ ბოლოს საგურამოში „მოვტყდი“ და ახლა მარტო ვმუშაობ ბაბუის სახლ-მუზეუმში. ეს მიწა მან გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე შეიძინა (გულს უხდება), ეს არის ჩემი თავშესაფარი, - თქვა ნოდარ მაჭარაშვილმა, რომელმაც იუმორითაც გვასიამოვნა.

ნოდარ მაჭარაშვილმა დამსწრეთა შეკითხვებსაც უპასუხა და მათთვის ავტოგრაფებიც არ დაიშურა.

„სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რასაც ვგრძნობ“

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა „ერთა ლიგის“ ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი შეხვედრებისთვის შემადგენლობა დაასახელა. „ჯვაროსნებში“ ერთი დებიუტანტია - წყალტუბოს „სამგურალის“ 24 წლის მეკარე ლევან შოვნაძე, რასაც Sportall.ge ვარაუდობდა

კიპერი ეროვნულ ლიგაში გამორჩეულია - 10 მატჩი გოლგაუშვებლად ჩაატარა და მისი გუნდი ევროტურნირებზე გასასვლელად იბრძვის.

ეროვნული ნაკრების ახალწვეულმა „სამგურალის“ ოფიციალურ გვერდთან კომენტარი გააკეთა:

„ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო. საქართველოს ნაკრებში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და შემიძლია ვთქვა, რომ ეს ოცნება ამიხდა. ძალიან მიხარია და სიტყვებით ვერ გადმოვცემ იმ ემოციას, რასაც ახლა ვგრძნობ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მწვრთნელებს და თანაგუნდელებს. მარტო ვერაფერს გავხდებოდი, ეს მათი დამსახურებაა, რომ ასეთ ფორმაში ვარ და ნაკრების მწვრთნელების ყურადღება დავიმსახურე. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათი იმედები გავამართლო“.

შეგახსენებთ: 23 სექტემბერს ჩვენი ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიას უმასპინძლებს, სამი დღის შემდეგ კი გიბრალტარს ესტუმრება.

საქართველოს ნაკრებს 10 ქულა აქვს და „ერთა ლიგაზე“ როგორც ერთი დივიზიონით დაწინაურებასთან, ასევე ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფთან ახლოსაა.

ამირან გურიელიძე